

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

25 ნოემბერი, 2025



№ 8 [2262]



**უნიკალური გამოცემის – „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ – პრეზენტაცია თსუ-ში**  
პროფესიული განათლების გამოცდილება

12 გვ.

## როლანდ თოფჩიშვილის ახლებური თვალსაზრისები ეთნოლოგიაში

მეცნიერი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ ახალ თვალსაზრისს გვთავაზობს



6 გვ.

**რას გვეტყვის მომავალი ელენე კაკულიაზე, რომელიც უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულია?!**

იგი გლობალური იურიდიული კომპანიის – White & Case – საერთაშორისო არბიტრაჟის დეპარტამენტის იურიდიულ ასისტენტად დასაქმდა

9 გვ.



**როგორ აღინიშნა მეცნიერების მსოფლიო დღე თსუ-ში**

## თსუ-ს მეცნიერების მსოფლიო აღიარება

ფუნდამენტური ფიზიკის სფეროში გარღვევისთვის დაწესებული ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო – „Breakthrough Prize in Fundamental Physics“ – წელს 24 ქართველ მეცნიერს მიენიჭა, მათგან 21 მეცნიერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია!

## კონფერენცია პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის 100 წლისთავს მიეძღვნა

12 გვ.



## ლადო პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი – სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვა

ახალი ჯილდო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის

13 გვ.



## სტუდენტური ფურცელი

7-10 გვ.



ახალი აღმოჩენა – თამაზ გამყრელიძისეული „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“

11 გვ.



**ფლორენცია, მეგობრობა და კულტურათა დიალოგი – თსუ-ში პაოლო დელ ბიანკოს 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა**

14 გვ.



**დაჩა მარაინი – ქალი, რომელმაც სიჩუმე სიტყვად აქცია**

15 გვ.



ქრონიკა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იორდანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და დაინყეს მუშაობა ერთობლივი მემორანდუმის გაფორმებაზე. მემორანდუმში გულისხმობს სტუდენტების გაცვლას, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებასა და აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას. თანამშრომლობა ნახალისდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: არაბისტიკა, ახლო აღმოსავლეთის კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები, არქეოლოგია და ტექნოლოგიები. იორდანის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სურვილი გამოთქვე – აქტიური ურთიერთობა დაამყარონ ქართველ მკვლევრებთან, დაიწყონ ერთობლივი კვლევითი პროექტები.

\*\*\*

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თურქეთის საელჩოს განათლების ატაშეს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საერთო სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავების გზები.



რექტორმა მადლობა გადაუხადა თურქეთის საელჩოსა და განათლების ატაშეს იმ მხარდაჭერისთვის, რომლის შედეგადაც თსუ-ში თურქული ენის კურსები წარმატებით ხორციელდება. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თურქული ენის სწავლების გაძლიერებას, მათ შორის – პრაქტიკული კომპონენტების დამატებასა და თურქი პედაგოგების ჩართვას სასწავლო პროცესში.

ჯაბა სამუშიამ ხაზი გაუსვა ტრადიციული თურქოლოგიის მიმართულების მნიშვნელობას საქართველოში და აღნიშნა, რომ ეს მიმართულება თსუ-ში აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და კიდევ უფრო განვითარდეს. ამჟამად უნივერსიტეტში თურქულ ენას 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა TÜBİTAK-თან თანამშრომლობის ხელშეკრულების ფართო თემატურ სპექტრზე საერთო სამეცნიერო პროექტების განხორციელება, მათ შორის სტუდენტური და აკადემიური გაცვლის პროგრამების გაფართოება.

თსუ-ს რექტორმა მწუხარება გამოთქვა თურქეთის შეიარაღებული ძალების 20 სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო, რომლებიც თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ.

\*\*\*  
თსუ-ში ფილოსოფიის მსოფლიო დღი-სადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინარული საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სტუდენტთა რეგიონული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქართული ფილოსოფიის სკოლის დამფუძნებლის, განმანათლებლის, ლოგიკოსის, ჟურნალისტის, პროზაიკოსის, ლიტერატურის ისტორიკოსის, პედაგოგის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის (1805-1836) დაბადებიდან 220 წლისთავს.



ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებსა და კონფერენციის მონაწილეებს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მიმართა და სოლომონ დოდაშვილის ღვაწლსა და მის პატრიოტიზმზე ისაუბრა. „სოლომონ დოდაშვილი იყო უდიდესი ადამიანი და პატრიოტი, რომელმაც ძალიან პატარა ასაკში მოახერხა – ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ყოფილიყო. აღსანიშნავია მისი წერილები, სადაც მრავალჯერ აღნიშნავს, რომ ჩვენს განათლებასა და მეცნიერებაში უმნიშვნელოვანესია ევროპული მოდელის დანერგვა და განვითარება“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

კონფერენცია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში თსუ-ს მუზეუმში სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა გაიმართა.

\*\*\*

თსუ-ს პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტის (Beijing Foreign Studies University – BFSU) დელეგაცია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც ორ უნივერსიტეტს შორის აკადემიური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

ჩინურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტის ვიცეპრეზიდენტი, პროფესორი ჭაო კანგი. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იყვნენ აზიის კვლევების სკოლის დეკანი სუ ინინგი და ქართული ენის ბაკალავრიატის პროგრამის დირექტორი იუნ პო.

მემორანდუმის ფარგლებში, თსუ და BFSU შეთანხმდნენ ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებაზე, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებზე, ასევე ერთობლივ სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობაზე.

„პეკინის უნივერსიტეტში ქართული ენის მიმართულების გახსნა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ენების, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის ინ-



სტრუმენტის, მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ვცხოვრობთ, უცხო ენების სწავლა კვლავაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამ თანამშრომლობის წყალობით ჩვენი სტუდენტები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ თსუ-ში, რაც მათთვის დიდ შესაძლებლობას ქმნის“, – აღნიშნა პროფესორმა ჭაო კანგიმ.

პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტი 1941 წელს დაარსდა და დღეს ერთ-ერთ ნამყვან სასწავლო და კვლევით ცენტრად მიიჩნევა უცხო ენების მიმართულებით. უნივერსიტეტში ისწავლება 67-ზე მეტი უცხო ენა, მათ შორის, ქართული, რომლის ბაკალავრიატის პროგრამა 2015 წელს დაფუძნდა და ამჟამად 14 სტუდენტს აერთიანებს. პროგრამის სწავლების პროცესში ჩართულია ქართველი ლექტორი – თსუ-ს კურსდამთავრებული.

\*\*\*

თსუ-ს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის ლაბორატორიას ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ კავკასიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ცნობილი ბიოარქეოლოგი და ანთროპოლოგი, ილინოისის უნივერსიტეტის მკვლევარი მორინ ელიზაბეთ მარშალი ეწვია. ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლიანა ბითაძემ ამერიკელ მეცნიერსა და, ასევე, ანთროპოლოგებს იტალიიდან, გერმანიიდან თუ სხვა ევროპული, ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან, დაათვალიერებინა ლაბორატორია, გააცნო აქ არსებული მნიშვნელოვანი კრანოლოგიური კოლექცია და ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევები.



თსუ-ს ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში კვლევები მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ მოსახლეობაზე სივრცესა და დროში. აქ თავმოყრილია სამხრეთ კავკასიაში ყველაზე სოლიდური კრანოლოგიური კოლექცია ძვ.წ. IV ათწლეულიდან თანამედროვე მცირე სერიების ჩათვლით, რაც ანთროპოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. ლაბორატორიის ხელმძღვანელის ლიანა ბითაძის ინფორმაციით, დაგეგმილია რამდენიმე ახალი კვლევის ჩატარება და პროექტის განხორციელება.

მსოფლიოს ცნობილი ანთროპოლოგები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „სამხრეთ კავკასიის ბიოარქეოლოგია“ მონაწილეობდნენ, რომელიც თბილისში გაიმართა და რომლის ორგანიზატორი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ კავკასიის კვლევითი ინსტიტუტია.

\*\*\*

თსუ-ს ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ეფრემი ეწვია და სტუდენტებისთვისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია „სულიერება თანამედროვე ეპოქაში“.

საჯარო ლექციას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე

ლევან ღირსიაშვილი, ვატოპედის მონასტრის დელეგაცია, აგრეთვე, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები ესწრებოდნენ.

„ათონის მთა ქართველებისთვის განსაკუთრებულია. აღსანიშნავია ქართველების საოცარი ღვაწლი ივერონის მონასტერში. აქ ითარგმნებოდა წიგნები, ეს იყო საქართველოში მეცნიერების შემოტანის გზა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დედაქალაქის გაძლიერებისთვის“, – აღნიშნა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ. რექტორმა არქიმანდრიტ ეფრემს ღვთისმშობლის ხატი გადასცა საჩუქრად, რომელსაც უნივერსიტეტის სახელით დააბრძანებენ ვატოპედის მონასტერში.




თსუ-ს რექტორმა არქიმანდრიტ ეფრემს ათონის მთის მონასტრებში არსებული ქართული საგანძურის – წიგნებისა და ხელნაწერების შესასწავლად ქართველი მეცნიერების მხარდაჭერა და თანადგომა სთხოვა.

„ვატოპედის მონასტერი კარიბჭეს და გულებს გაგიხსნით და მოგცემთ ქართველ მამათა მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის შესაძლებლობას. რაც შეეხება ათონის მთის დანარჩენ მონასტრებს, ისინი ავტონომიურობით სარგებლობენ, თუმცა ყველაფერს ვილონებთ თქვენს დასახმარებლად“, – განაცხადა არქიმანდრიტმა ეფრემმა.

„ქრისტეს მცნებების დაცვას არ აქვს იურიდიული ხასიათი, მაგრამ რაც უფრო მეტად იცავს ადამიანი ქრისტეს მცნებებს, უფრო მეტი სიყვარული აქვს“, – ასე მიმართა არქიმანდრიტმა ეფრემმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

საჯარო ლექციის მსვლელობისას ვატოპედის მონასტრის წინამძღვარმა განაცხადა, რომ მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელ 10 სტუდენტს ერთი წლით სტიპენდია დაუნიშნავს. ლექციის ბოლოს არქიმანდრიტმა კითხვებს უპასუხა.



ვატოპედის მონასტრის წინამძღვრის ვიზიტთან დაკავშირებით თსუ-ს მუზეუმში გამოიფინა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ძველნაბეჭდი საეკლესიო წიგნები, აგრეთვე ათონის წმინდა მთის მონასტრების საქმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომები.

მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# როგორ აღინიშნა მეცნიერების მსოფლიო დღე თსუ-ში

ენიკო ხაბუაია

მსოფლიო იცვლება. როგორც პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები ამბობენ, დღევანდელ მსოფლიოში სწორედ განათლება და მეცნიერებაა მსოფლმხედველობრივი ცვლილებების გადააზრების ძირითადი განმსაზღვრელი. ეს პირდაპირ უკავშირდება მეცნიერების პრიორიტეტად გამოცხადებას. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ახალი ფუნქციის განსაზღვრის ხანაა. თავის დროზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა და ბაქო-სუფსის პროექტის მთელ რიგ ღონისძიებებში სწორედ მეცნიერები იყვნენ ჩართულნი. ახლა უკვე აზიასა და ევროპას შორის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნის ქვეყნად მოვიაზრებით და ამ დიდი პროექტის განსახორციელებლად, პირველ რიგში, მეცნიერების მოხმობა გახდა საჭირო.

მეცნიერებას დღევანდელ საქართველოში სათანადო პოპულარიზაციის პრობლემა უდგას. ამიტომ რჩება ჩვენამდე მოუღწეველი ბევრი ინფორმაცია. ვგულისხმობთ შემდეგს: მეცნიერული კვლევები ვგამცნობს, რომ მსოფლიოს მასშტაბით კლიმატის ცვლილების გამო საქართველოში უკვე დაიწყო დიდი მყინვარების უკან დახვევა. უკვე დაუშავებულა თოვლის ზედაპირის საინალმდეგო ინოვაციური კონსტრუქცია ზედაპირის მოქმედების მაღალი რისკის ზონებისთვის. ინოვაციური კონსტრუქცია მოწყობილია საქართველოს სამხედრო გზის კობი-გუდაურის უბანზე. მეცნიერები ირჯებიან დედამიწაზე გახშირებული ბუნებრივი სტიქიების პროგნოზირებისა და კონტროლის ინოვაციური ღონისძიებების დასამუშავებლად საქართველოს მაგალითზე. ისინი იძლევიან რეკომენდაციას, რომ ღვარცოფების საინალმდეგოდ გამოყენებულ იქნეს საქართველოში დამუშავებული თანამედროვე კონსტრუქციები. ეს კონსტრუქციები აპრობირებულია მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში. მეცნიერთა ერთი ჯგუფის ნაშრომიდან ვიგებთ სიმსივნის მკურნალობის ახალ შესაძლო მეთოდზე. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სოკოვანი წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები პერსპექტიულია სიმსივნის მკურნალობის ინოვაციური და მიზანმიმართული მეთოდების შემუშავებისთვის. დემოგრაფთა ჯგუფი მუშაობს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირების მიზეზებისა და გამოსავლის გზების დადგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფსიქოლოგები მრავალ სასწავლებელში არიან განფენილები და ერთგვარად დარღვეულია მათი კოორდინაცია, ქართველ ფსიქოლოგთა მცირე ნაწილი მაინც მუშაობს უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებისთვის. ისინი იღვნიან, რომ მსოფლიო მასშტაბით თეორია მენისტრიმული გახდეს სხვა თეორიებთან შედარებით – ამ და მეცნიერების სხვა ახალ მიგნებებზე ინფორმაციას ხშირად არ ფლობს საზოგადოება. სწორედ ამიტომ სჭირდებათ მეცნიერებს მეტი პოპულარიზაცია. ამ საზოგადო მიზანს ემსახურება თუნდაც მეცნიერების მსოფლიო დღის აღნიშვნა, როდესაც გამოიკვეთება მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მიღწეული შედეგები და იმ მეცნიერ-მკვლევართა სახელები, რომელთაც სახელმწიფოსგან ხარდაჭერა ესაჭიროებათ.

მეცნიერების მსოფლიო დღე განსაკუთრებული ღონისძიებებით აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დღეს „მეცნიერების ფესტივალი – 2025“ მიეძღვნა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეები და სტუდენტები ესწრებოდნენ



“**მეცნიერების მსოფლიო დღე განსაკუთრებული ღონისძიებებით აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დღეს „მეცნიერების ფესტივალი – 2025“ მიეძღვნა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეები და სტუდენტები ესწრებოდნენ**

ებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეები და სტუდენტები ესწრებოდნენ. „უნივერსიტეტი არის ის ადგილი, სადაც ახალმა თაობამ მეცნიერული ცოდნა უნდა მიიღოს. ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ის ქვეყნები, რომელთაც დიდი რესურსები ჩადეს მეცნიერებაში, დღეს მყარად დგანან ფეხზე. სამეცნიერო ფესტივალები ხელს უწყობს მეცნიერების პოპულარიზაციას. ასობით ახალგაზრდა, სკოლის მოსწავლე გაეცნო თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, დაინტერესდა სხვადასხვა სახის ცდებით. იმედია, მათ გაუფრთხილდებიან ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

მეცნიერების ფესტივალზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ერთიან სივრცეში წარმოადგინეს საინტერესო ექსპერიმენტები, აღმოჩენები და კვლევითი პროექტები.

ფესტივალში მონაწილეობდნენ თსუ-ს ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მინერალოგიის, ზოოლოგიის, პალეონტოლოგიის და ინოვაციების ცენტრის წარმომადგენლები. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავად ჩაეტარებინათ ქიმიური ცდები, დაკვირვებოდნენ ექსპერიმენტებს ფიზიკაში, შეესწავლათ მინერალების უნიკალური სტრუქტურა, გაცნობოდნენ – თუ როგორ იყო სიცოცხლე მილიონი წლის წინ და შეხებოდნენ პალეონტოლოგიურ ნიმუშებს, დაეთვალიერებინათ თსუ ზოომუზეუმის საინტერესო ექსპონატები, მოესმინათ თემატური ლექციებისთვის.

ფესტივალის ფარგლებში დაჯილდოვდნენ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა და წარმატებული მეცნიერები: ირაკლი ჩიტაია, გიორგი თუთბერიძე, მაია გაიოზიშვილი, გიორგი ჯიბუტი და გიორგი გაფრინდაშვილი.

10 ნოემბერი არის მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის და ხაზს უსვამს მეცნიერების მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში, აგრეთვე, ფართო საზოგადოების ჩართულობას სამეცნიერო საკითხებში. ის ასევე ხაზს უსვამს მეცნიერების მნიშვნელობას და აქტუალობას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ და ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ნაწილი (ACS – American Chemical Society Georgian Student Chapter of TSU).



„პრემია ფუნდამენტური ფიზიკის სფეროში გარღვევისთვის“ – თსუ-ს მეცნიერების მსოფლიო აღიარება



ფუნდამენტური ფიზიკის სფეროში გარღვევისთვის დანერგული ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო – „Breakthrough Prize in Fundamental Physics“ – წელს 24 ქართველ მეცნიერს მიენიჭა, მათგან 21 მეცნიერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია! მათ შორის, 8 ფიზიკოსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნოდარ

ამალობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია: ირაკლი მინაშვილი, ვახტანგ ქართველიშვილი, ედიშერ ცხადაძე, გივი სეხნიაიძე, არჩილ ღურგლიშვილი, მაია მოსიძე, თამარ ზაქარაიშვილი, თამარ ჯობავა. ეს წარმატება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თსუ-ს მეცნიერების წვლილს სამყაროს შეცნობაში.



# 2025 წლის მთავარი მიღწევები თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში

ენო ჯაფარიძე

თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში 2024-2025 წლებში სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა „კონკურენტული ინოვაციების ფონდის“ (CIF) მიერ დაფინანსებული 2 პროექტის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 7 პროექტის (2 – „ფუნდამენტური კვლევების გრანტი“, 2 – „ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი“, 3 – „დოქტორანტიურის გრანტი“) ფარგლებში, ასევე ინსტიტუტის ტრადიციულ სამეცნიერო თემატიკაზე.

### ინსტიტუტში მიმდინარე კვლევები მოიცავს:

- ღვიძლის რეგენერაციის და გადანერგვის საკითხებს, მათ შორის გადასანერგი ღვიძლის მანქანური პერფორაციით *ex-situ* შენახვის (პრეზერვაციის) პირობებში ღვიძლის რეგენერაციის შესაძლებლობის დადასტურებას. ამ ინოვაციური ჰიპოთეზის შემოწმება მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა (პროფესორი ლევენკი გრონიგენის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრიდან /ნიდერლანდები/ და პროფესორი პადილო – სევილიის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკიდან /ესპანეთი/) ჩართულობით. ღვიძლის *ex-situ* პერფორაციის გამოყენებულია მორფოლოგიის ინსტიტუტში ნ. ხოდელის და ზ. ჩხაიძის (მოულოდნელად გარდაიცვალა 2025 წელს) მიერ შექმნილი ორიგინალური კონსტრუქციის ტუმბო (დაპატენტებულია საქართველოს ეროვნული პატენტით). რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებულია როგორც აღნიშნული ტუმბოს შემდგომი ავტომატიზაციის, ისე ჰიპოტეზის შემოწმების კვლევები;
- კვლევებს ნანოტექნოლოგიების გამოყენებით. ნანოტექნოლოგიების დანერგვა თსუ-ს მორფოლოგიის ინსტიტუტში უკავშირდება გიორგი ფიჩხაიას სახელს, რომელიც 2025 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ კვლევების ფარგლებში ხორციელდება: ნანონაწილაკების ჩართვით ტუბერკულოზის რეზისტენტულ შტამებზე „ძველი თაობის“ ანტიბიოტიკების ზემოქმედების ეფექტის გაზრდის კვლევა; მხოლოდ ფიზიკურ პროცესებზე დაფუძნებული „წყლის განმენდის“ ტექნოლოგიის შემუშავება, ასევე „განმენდილი წყლის“ გამოყენებით ცხოველებზე და მცენარეებზე გამოვლენილი დადებითი ეფექტების კვლევა;



დimitრი კორძაია

- ჰეპატო-პანკრეატო-ბილიური (ღვიძლის-პანკრეასის-ნაღლის სადინარის) ზონის მიდამოს პათოლოგიათა მოდელების კვლევებს;
- ორიგინალური შაქრის – „შაქარი მარგებელის“ (დაპატენტებულია საქართველოს ეროვნული პატენტით) ეფექტიანობის კვლევებს ექსპერიმენტში და კლინიკაში;
- ნერვული, სისხლძარღვოვანი, რეპროდუქციული და ენდოკრინული სისტემების კვლევებს როგორც ექსპერიმენტში, ისე კლინიკური პათოლოგიების დროს;
- პირველადი მილოვანი სისტემის (Primo Vascular System) კვლევებს (თსუ-ს მორფოლოგიის ინსტიტუტი ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც მხარი აუბა კორეულ მეცნიერთა მიერ აღმოჩენილ ამ ახალი სისტემის კვლევას). განსაკუთრებით აღსანიშნავია მორფოლოგიის ინსტიტუტში მოლეკულური პათოლოგიის სფეროში კვლევების განვითარება და მოლეკულური პათოლოგიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო კურსის შექმნა. „ადამიანის გენეტიკის შესახებ ცოდნის გამოყენება მედიცინაში დაიწყო „ადამიანის გენომის პროექტის“ (1987-2003 წლები) იმპლემენტაციის შემდეგ, რამაც მკვლევრებს საშუალება მისცა გაეშიფრათ ადამიანის გენომი და აეხსნათ სხვადასხვა დაავადების მოლეკულური საფუძვლები. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა მედიცინაში ახალი ერის – „მოლეკულური პათოლოგიის“ ეპოქის დასაწყისს. ადამიანის გენომის პროექტით მიღებულმა მონაცემებმა პირველი შედეგი უკვე 1996 წელს მოგვცა, როდესაც ბაზარზე გაჩნდა პირველი გენეტიკური ტესტირების სისტემა –

BRACAnalysis – ძუძუს და საკვერცხის მეგეკიდრობითი სიმსივნეების დასადგენად. სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფამ განაპირობა ადამიანის დაავადებების მოლეკულური პათოლოგიის შესახებ ცოდნის ექსპონენციური ზრდა. ამჟამად, მოლეკულური დიაგნოსტიკა, დამოზნებითი („ტარგეტული“) მოლეკულური თერაპია და გენეტიკური თერაპია წარმატებით ხორციელდება ბევრ სამედიცინო ცენტრში. მაგრამ, მოლეკულური პათოლოგიის სფეროს სწრაფმა ზრდამ მწვავედ წარმოაჩინა ამ მიმართულებით სპეციალისტების დეფიციტის პრობლემა და, შესაბამისად, სამედიცინო განათლების ნაკლოვანებები: ტრადიციული სასწავლო კურსები მოლეკულურ ბიოლოგიაში წარმოადგენს საბაზისო მეცნიერებას და ძნელია აქ მიღებული ცოდნის ტრანსფორმაცია კლინიკური მედიცინის სფეროში; სამედიცინო დისციპლინების სილაბუსებში კი მოლეკულური პათოლოგიის საკითხები შეზღუდულადაა წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება ისეთი სასწავლო კურსების შექმნისა და იმპლემენტაციის აუცილებლობა, რომელიც შეავსებს ნაპრალს საბაზისო მეცნიერებასა და კლინიკურ პრაქტიკას შორის. ასე გაჩნდა მსოფლიოში მედიცინის და ბიოტექნოლოგიის სასწავლო პროგრამებში მოლეკულური პათოლოგიის კურსის დამატების ტენდენცია, რომელიც მოიცავს როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრის, რეზიდენტის და დოქტორანტის მომზადების კურსებს“, – აღნიშნავს მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დიმიტრი კორძაია.

თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში, თსუ-ს პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრასთან თანამშრომლობით, CIF გრანტით დაფინანსდა პროექტი „მოლეკულური პათოლოგიის სასწავლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით“ (ხელმძღვანელი – პროფესორი მ. ჯანგაძე). პროექტის ფარგლებში შეიქმნა მოლეკულური პათოლოგიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია მონივრული ევროპული სამედიცინო სკოლების გამოცდილება და მოლეკულური პათოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. ამავდროულად პროექტის ფარგლებში შეიქმნა და თანამედროვე სამეცნიერო აპარატურით აღიჭურვა ინსტიტუტის მოლეკულური ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა, ჩამოყალიბდა მოლეკულური გენეტიკის, ქსოვილოვანი კულტურების და ელექტროფორეზის ლაბორატორიები, განვითარდა ბიოინფორმატიკისა და ხაზოვანი ლაბორატორიული ცხოველების ექსპერიმენტული ბაზა. აღნიშნულ ბაზაზე უკვე ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 3 სადოქტორო და 2 ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი პროექტი. დაგეგმილია 4 სადოქტორო კვლევითი პროექტის განხორციელება. დიმიტრი კორძაიას თქმით, თსუ-ს მორფოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე პროცესები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში მოლეკულური პათოლოგიის სფეროში კვლევების განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, დადებითად აისახება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის შრომის ბაზრის პროფესიული კადრებით დაკომპლექტებაზე. წელს მორფოლოგიის ინსტიტუტმა უმასპინძლა გერმანელ, კორეელ და ინგლისელ მეცნიერებს; ინსტიტუტის 9 თანამშრომელი სამეცნიერო ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთში, ნიდერლანდებში, ესპანეთში (ნოემბრის ბოლოს დაგეგმილია ვიზიტი უზბეკეთში); ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღო 3 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზებაში (კიდევ ერთი კონფერენციის ორგანიზება დაგეგმილია ა.წ. 4 დეკემბერს). 2024-2025 წელს მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 14 – Scopus-ში ან WOS-ში ინდექსირებულ ჟურნალებში; ინსტიტუტის ბაზაზე დაცული იქნა 4 სადოქტორო დისერტაცია.

# 2025 წლის მთავარი მიღწევები თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში

ენო ჯაფარიძე

თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას და იმ შედეგებს წარმოადგენს, რომელიც 2025 წლის მანძილზე მის წიაღში განხორციელდა. ძველი ტრადიციიდან მოყოლებული, ხუთმშაბათობით, ინსტიტუტში ეწყობა

სამეცნიერო კოლოკვიუმი – მიძღვნილი აქტიუალური იურიდიული პრობლემებისადმი. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები (ხანდახან გარედან მონეული მომხსენებლებიც) წარმოადგენენ სადისკუსიო თემას, რის შემდეგაც იმართება საინტერესო პოლემიკა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დამსწრე საზოგადოებას, მოსხენებების სახით, წარედგინა ისეთი მრავალფეროვანი სპექტრი თემებისა, როგორებიცაა: ჰე-

გელის სამართლის ფილოსოფია, დიალექტიკის ჰერაკლიტესეული მოძღვრება, მინორიტარი აქციონერების ინტერესთა დაცვის სამართლებრივი ფარგლები, იურიდიული პროფესიისა და განათლების რეფორმის პრობლემები, განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში, პროფესორის საქმიანობის ზნეობრივი და სამართლებრივი სტანდარტები და სხვ. ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომ-

ლობს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან. გარდა იმისა, რომ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაწილი იმავდროულად იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზეც იღვწის, უკვე ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა სამართლის მეთოდების მიმართულების სტუდენტური კონფერენციის

ა-4 83-და

ჩატარება ინსტიტუტის ბაზაზე. მიმდინარე წელსაც სწორედ ინსტიტუტმა უმასპინძლა სამართლის მეთოდების მიმართულების ახალგაზრდა მომხსენებლებს, რომლებმაც განსახილველად გამოიტანეს აქტუალური იურიდიული პრობლემებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, რამაც დიდი ინტერესი და პროდუქტიული დისკუსია გამოიწვია. კონფერენციაზე გამოვლინდნენ საპრიზო ადგილის მფლობელი სტუდენტები.

მიმდინარე წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ან გამოქვეყნების პროცესშია (როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ) მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები – შესრულებული ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მიერ. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ასისტენტ-პროფესორი თემურ ცხიტიშვილი ნაყოფიერად აგრძელებს კვლევით საქმიანობას. წელს, მის მრავალ სტატიასთან ერთად, დაიბეჭდა მონოგრაფია „გაზრდას მკვლევარება დამამძიმებელ გარემოებებში“. სისხლის სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (იაპონიაში, სერბეთში, თურქეთში) ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა, პროფესორმა ედიშერ ფუტკარაძემ.

ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის ორი წარმომადგენელი მონაწილეობს თსუ-ს მიერ ორგანიზებულ სახელმძღვანელოთა საგრანტო კონკურსში. ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში პროფესორი ბესარიონ ზოიძე არის სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოს თანაავტორი, პროფესორ ლაშა ბრეგვაძის ავტორობით კი მზადდება



სამართლისმცოდნეობის შესავლის სახელმძღვანელო. წელს პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ ასევე მიიღო მაქს პლანკის კერძო სამართლის ინსტიტუტის პრესტიჟული სტიპენდია და ორი თვის მანძილზე კვლევითი საქმიანობისთვის ის ეწვევა მსოფლიოს მასშტაბით ამ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო კერას. პროფესორ ბესარიონ ზოიძის ავტორობით წელსვე გამოიცემა სამეცნიერო ესეების ორტომეული – მიძღვნილი სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების პრობლემისადმი, რომელსაც დიდი ინტერესით ელოდება მკითხველი საზოგადოება. მისივე რედაქტორობით გამოიცა ჟურნალ „კერძო სამართლის მიმოხილვის“ ახალი ნომერი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ცნობილ ცივილისტთა, ასევე ახალგაზრდა მკვლევართა საინტერესო ნაშრომები. პროფესორ ბესარიონ ზოიძის ავტორობით დაიბეჭდა მრავალი აქტუალური ნაშრომი – მიძღვნილი კერძო სამარ-

თლისა და სამართლის ფილოსოფიის საჭირობოთო საკითხებისადმი. ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები აგრძელებენ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში ნაყოფიერ მუშაობას. მიმდინარე წლის მანძილზე თანამშრომლები სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ და მოხსენებებით წარსდგნენ სამხრეთ კორეაში, გერმანიაში, სერბეთში, იტალიაში, თურქეთში. მოხსენებების ნაწილი დაიბეჭდა საგანგებოდ შედგენილ კრებულებში და პერიოდულ გამოცემებში. 2026 წელს სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის მსოფლიო კონგრესში მონაწილეობისათვის ქართველი მკვლევრების (ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი) მონაწილეობით დაკომპლექტდება ერთი კონკრეტული სექცია (სამართლის თეორიის მიმართულება), რაც აქამდე ჯერ არ მომხდარა. სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის კონგრესი ინტერდისციპლინური

ფორუმია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და თავს უყრის სამართლის დარგთაშორისი შემეცნებით დაინტერესებულ მკვლევრებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წინა კონგრესი სეულში გაიმართა, მომდევნო კონგრესს კი სტამბოლი უმასპინძლებს.

ახალი ცოდნის შექმნისა და გადაცემის ამოცანის უზრუნველსაყოფად, აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობას აგრძელებს მკვლევართა ახალგაზრდა თაობა. ინსტიტუტის სამი მეცნიერთანამშრომელი არის დოქტორანტი. ამთავან ერთმა უკვე დასაცავად წარადგინა დისერტაცია (გულიკო ფერაძე), ორი კი სწორედ ამჟამად ასრულებს მუშაობას დისერტაციაზე (დავით მაისურაძე და ჟირონ ხუჯაძე).

ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა მასშტაბური ინტერდისციპლინური საგრანტო პროექტი და წარდგენილ იქნა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში ფუნდამენტური კვლევისთვის გრანტის მოსაპოვებლად. პროექტში გაერთიანებულია სამართლისმცოდნეობისა და ლიტერატურისმცოდნეობის პერსპექტივები (ცნობილი მიმდინარეობის – „სამართალი და ლიტერატურა“ – კანონიკის დაცვით) და მიზნად ისახავს ოთხ კლასიკურ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული პრობლემების ანალიზს, მართლშეგნებისა და სამართლებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციის შესწავლას მხატვრული ლიტერატურის წყაროებზე დაყრდნობით.

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, ინსტიტუტში მომზადდა და წელს დაიბეჭდება მისი დამფუძნებლის, თინათინ წერეთლის სამეცნიერო ბიბლიოგრაფია.

# ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში მიმდინარე კვლევები

სიახლე

## 6060 ჰაჰულია


ტერიტორიის მრავალმხრივი გეოგრაფიული მიმოხილვის საუკეთესო საშუალება კომპლექსური გეოგრაფიული ატლასია. გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გეოგრაფიული ატლასების შედგენაა. ინსტიტუტში შედგენილი და გამოცემული კომპლექსური და დარგობრივი ატლასები ინსტიტუტის მდიდარ კარტოგრაფიულ ფონდს ქმნის. 2025 წელს ამ ფონდს ახალი -ვახუშტის რეგიონის ატლასი შეემატა, რომელიც საქართველოს რეგიონული ატლასების სერიის პირველი ატლასია. ატლასის შინაარსში მოცემულია: მდებარეობა, ისტორია, ტერიტორიული მონაცემები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, განათლება და კულტურა, ტურიზმი. თითოეული თემა მრავალი სხვადასხვა შინაარსის რუკით არის წარმოდგენილი. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბუნებრივი პირობები და რესურსები, მევენახეობა და მეღვინეობა, კულტურული და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ღვინის მარნები, როგორც აგროტურისტული ობიექტები, ვაშლოვნის, ლაგოდების და თუშეთის ულამაზესი დაცული ტერიტორიები. ატლასის ღირსებაა, რომ ყოველი თემა წარმოდგენილია რუკით, ტექსტით და ფოტოსურათებით.

\*\*\*

საქართველო ხასიათდება მრავალფეროვანი კლიმატით – ნოტიო სუბტრო-

პიკულიდან მშრალი სუბტროპიკული ჩათვლით. შესაბამისად მცირე ტერიტორიაზე სწრაფად იცვლება ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და რეჟიმი. პროგნოზის თანახმად, ნიადაგის ეროზიის სიჩქარე შესაძლოა შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზების გამო და ერთ-ერთი სწორედ ატმოსფერული ნალექების ინტენსივობის ცვლილებაა. ასეთ დროს გრძელვადიანი კვლევები უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ მეცნიერები გეოგრაფიის ინსტიტუტში.

„მნიშვნელოვანია წვიმის ეროზიულობის გრძელვადიანი მოდელირება და იზოეროდენტების ციფრული რუკის შექმნა. პროექტი მოიცავდა საქართველოში არსებული ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების შეგროვებას, გაციფრულებას, უნიფიცირებას და მონაცემთა ბაზაში ადაპტირებას. შექმნილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე გამოანგარიშდა R ფაქტორი საქართველოს დაახლოებით 100 სადგურისთვის 90 წლიანი პერიოდისთვის (1930-2020). აქვე უნდა დაკონკრეტდეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში (1930-2020) მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა მუდმივად იცვლებოდა. მუშაობის პროცესში დამუშავდა R ფაქტორის გამოთვლის მათემატიკური საფუძვლები, შედგება კი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრა R ფაქტორის მნიშვნელობები. კვლევის შედეგები გამოიცა მონოგრაფიის სახით „ატმოსფერული ნალექების ეროზიული პოტენციალის მოდელირება და კარტოგრაფი-



რება საქართველოში“. მონოგრაფიაში დეტალურადაა განხილული საქართველოში წვიმის ეროზიული პოტენციალის ცვლილება დროსა და სივრცეში, – აღნიშნავს გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომელი ზაზა გულაშვილი.

\*\*\*

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კლიმატის ცვლილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის თვალსაჩინო გახდა: მყინვარების დნობა, რეკორდული სიციხეები,

ძლიერი ვალვები და სხვა მსგავსი მოვლენები ბოლო წლებში საკმაოდ გახშირებულია.

ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს. ცხინვალის რეგიონისთვის კლიმატური პარამეტრების და ინდექსების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს მეტეოროლოგიური დაკვირვებები და ეს დანაკლისი უნდა შეივსოს, რათა სრულად შეფასდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილება.

გეოგრაფიის ინსტიტუტში მიმდინარე კვლევის სიახლე ის არის, რომ ცხინვალის რეგიონისთვის პირველად მოხდა მეტეოროლოგიური ელემენტების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემთა ბაზის შექმნა და ამ ბაზის საჯაროობის ხელშეწყობა; შეფასდა კლიმატის ცვლილება.

„კვლევის შედეგები ინოვაციურია, ვინაიდან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეალური მდგომარეობის მოდელირებისა და ანალიზის საშუალებას მოგვცემს, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მთლიანად ქვეყნისათვის. პროექტის შედეგებით შესაძლებელი იქნება: შეფასდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ტრენდი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეიქმნას „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემა“, რაც ხელს შეუწყობს კლიმატური რისკების შემცირებას, პრევენციასა და მზადყოფნას“, – აღნიშნავს გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი.





აია ბორაძე

# როლანდ თოფჩიშვილის ახლებური თვალსაზრისები ეთნოლოგიაში

ინტერვიუ

ქართულ ეთნოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში არის სახელები, რომლებიც არა მხოლოდ კვლევის შედეგებით, არამედ ეროვნული თვითშეგნებისადმი განუვლი სამსახურით იწვევს მონივნებას. როლანდ თოფჩიშვილი სწორედ ასეთ მეცნიერებს მიეკუთვნება. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა დღესაც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დასაყრდენს ქმნის ქართული ეთნოლოგიისთვის. ამჟამად თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგის პოზიციაზე მყოფი მეცნიერი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ ახალ თვალსაზრისს გვთავაზობს. როლანდ თოფჩიშვილი, რომელსაც 71 წიგნი აქვს დაწერილი, ამ თემაზე თავის არგუმენტებს წარმოადგენს მორიგ მონოგრაფიაში.


ინტერვიუ როლანდ თოფჩიშვილთან გვაძლევს შესაძლებლობას – დავინახოთ მისი ნაშრომების არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მორალური და სა-მოქალაქო ღირებულებები. მათში ჩანს ხედვა მეცნიერისა, რომელიც ისტორიის შესწავლას ქვეყნის მომავლისადმი პასუხისმგებლობად მიიჩნევს.

**– ბატონო როლანდ, გვიამბეთ, ადრეულ წლებზე – რატომ დაინტერესდით ისტორიით და ეთნოლოგიით?**

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის 1967 წელს ვავხდი. მაშინ ისტორიის ფაკულტეტზე ძალიან დიდი კონკურსი იყო. ბედგადამებული სტუდენტები ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი, რომლებიც რაიკომის მდივნობაზე ოცნებობდნენ და მესამე კურსიდან პარტიის ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის ჯგუფებში ირჩევდნენ და მუშაობდნენ, ვისაც სამშობლოს და ქვეყნის სიყვარული ჰქონდათ და საქართველოს ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას ეტანებოდნენ. სტუდენტობამდე ახლო ურთიერთობა მქონდა საქართველოში ძალზედ პოპულარულ ეთნოლოგ კოტე ჩოლოყაშვილთან. მისგან ბევრი რამ გავიგე ეთნოლოგიის შესახებ, რომ ეს დარგი მრავალსაუკუნოვან ქართულ ეთნიკურ კულტურას და ეთნიკურ ისტორიას სწავლობდა. ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტე ამ დარგს უფრო ახლოს გავცნობოდი და მესამე კურსიდან ეთნოლოგიის სპეცკურსი ავირჩიე. ეთნოლოგიის კათედრას კი იმ დროს აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ხელმძღვანელობდა.

**– უნივერსიტეტი და სტუდენტობა – როგორი სტუდენტობა გქონდათ, ვის გამოარჩევდით პროფესორ-მასწავლებლებს შორის?**

– როგორი სტუდენტობა გქონდა? სწავლასთან ერთად ბევრს დავდიოდით სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. ზაფხულობით ვმონაწილეობდით არქეოლოგიურ ექსპედიციებში. არასდროს დამავიწყდება 1969 წლის ზაფხული და ერწოს არქეოლოგიური ექსპედიცია ბატონ რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის სტუმარი იყო ცნობილი არქეოლოგი გოგი ლომთათიძე. საღამოობით იყო საუბრები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემებზე; მას ხომ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან. ჩვენი ექსპედიციაში ყოფნა დავმთხვავებდით საერთო სალოცავის – ლაშარის ჯვრის დღესასწაულს. ბატონმა გოგიმ არა მხოლოდ ლაშარობაზე, არამედ ფშაველებისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების შესახებ შესანიშნავი ლექცია წავაკითხა.



დაუვიწყარი იყო ბატონ გიორგი ჩიტაიას ლექციები მესამე კურსზე ჯერ საქართველოს ეთნოლოგიაში და შემდეგ კავკასიის ეთნოლოგიაში. მაგრამ ის ლექციები უნივერსიტეტის აუდიტორიაში როდი ატარებდა – სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიულ გამოფენასთან, სხვადასხვა კოლექციის ფონდებში, კითხულობდა. ბატონი გიორგი ჩიტაია, ცოდნასთან ერთად, სამშობლოს სიყვარულსაც გვინერგავდა. ბედმა გამიღიმა უნივერსიტეტში სპეცკურსები პროფესორ მიხეილ ვეგეშიძისაგანაც მომესმინა. ამ ორმა მეცნიერმა და კიდევ სოსო ჭანტურიშვილმა გადამწყვეტეს ჩემი მეცნიერებაში მოსვლა.

**– ძირითადად რას შეეხება თქვენი სამეცნიერო ინტერესები დღეს?**

– ჩემი სამეცნიერო ინტერესების სფერო ქართველთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის საკითხებს მოიცავს. შეიძლება ჩამოთვალა: 1. საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები; 2. საქართველოს მოსახლეობის ისტორიული დემოგრაფია; 3. უცხოეთიკურ ერთეულთა საქართველოში დასახლებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის პრობლემები; 4. ოსთა საქართველოში მიგრაცია და ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხები; 5. ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები; 6. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები; 7. ქართველთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები; 8. კავკასიის ეთნოლოგია; 9. ეთნოსის თეორია; 10. თეორიული ეთნოლოგია; 11. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნოლოგია; 12. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა; 13. ძველი თბილისის ტრადიციული ყოფა და კულტურა; 14. ქართული ეთნოლოგიის ისტორია; 15. ზოგადი ეთნოლოგია...

**– თქვენ ხართ მეცნიერი, რომელიც დასაბუთებულ პასუხს სცემს ყველა ისტორიულად დამახინჯებულ ფაქტს, რაც ქართულ იდენტობას და ეთნოლოგიას შეეხება. ამ თემატიკიდან თავად რომელ ნაშრომს გამოარჩევდით?**

– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის დამახინჯებლები. ყველა მეზობელს გაუჩინდა პრეტენზია ქართველთა განსახლების არეალზე. რატომ? იმიტომ, რომ მათ კარგად იციან იმ დემოგრაფიული კრიზისის შესახებ, რაც დღეს ჩვენთანაა. ფიქრობენ, ეს ხალხი გაქრობისაკენ მიექანება და გაქრობისას იქნებ რაიმე ლუკმა დარჩეთ. ჩემი ნაშრომებით შევეცადე, ისტორიის ფალსიფიკატორები მემხილებინა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მთელ აღმოსავლეთ საქართვე-

ლოზე აქვს პრეტენზია. იმ ქვეყანაში ამ ყალბი ისტორიის შესაქმნელად მილიონები იხარჯება, ჩვენთან კი... ღმერთის ნებით, პასუხი გავეცი ორი ისეთი დიდი და საამაყო მატერიალური კულტურის ძეგლებს მიმთვისებლებს, როგორებიცაა სულგუნი და ჩოხა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შევძრუნდი, როდესაც ლენინგრადში სტუდენტ ეთნოლოგთა საკავშირო კონფერენციაზე ყოფნისას შევიძინე ბ. კალოვის წიგნი „ოსები“. ეს კაცი არწმუნებდა თავის თანამოძმეებს, რომ, თურმე, სულგუნი ოსების გამოწვევით და ქართველებმა მათგან ვისწავლეთ მისი დამზადება. ამ ცრუმეცნიერულ ტრადიციას ისინი დღესაც აგრძელებენ. თურქეთში იქაურმა ქართველებმა შემომჩივეს, რომ ჩერქეზები გვედავებია, ჩოხა ჩვენია, თქვენი არააო (საერთოდ, ჩოხა-ახალუხი თურქეთული ქართველების იდენტობის ერთ-ერთი გამომხატველია დღეს). მაგლობა ღმერთს, ჩრდილოეთ კავკასიელთა სამოსის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა არსებობს. ჩვენს ფრესკებზე ქართველი მამაკაცები სწორედ ამ სამოსით არიან წარმოდგენილი. ამიტომ, ვისაც ოდნავი სკეპტიციზმი აქვს, ჩადით სვანეთში და მესტიაში ლაღამის ეკლესიის ფრესკა ნახეთ, რომელიც მე-13/მე-14 საუკუნის მიჯნისაა და რომელზედაც ქტიტორი შალვა ქიშლიანი გამოხატული. ჩერქეზები კი მე-18/მე-19 საუკუნეების მიჯნაზე ისევე „რეიტუზის“ მავგარი სამოსებით იმოსებოდნენ. ეს ორი წიგნი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, აგრეთვე წიგნი ოსების ჩამოსახლების შესახებ.

ჩემი ნაშრომებიდან ძვირფასად მიმაჩნია ის 8 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობისას შევქმენი; ესენია: „საქართველოს ეთნოლოგია“, „კავკასიის ეთნოლოგია“, „ევროპის ეთნოლოგია“, „ამერიკის ეთნოლოგია“, „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“, „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“, „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“, „თბილისის ეთნოლოგია“ (თ. გვიმრაძესთან თანაავტორობით). ამ სახელმძღვანელოების მიზანი იყო მომავალში ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარება, სტუდენტთა დაინტერესება იმ მეცნიერების მიმართ, რომელიც ქართველი ხალხის (და არა მხოლოდ ქართველთა) ეთნიკურ ისტორიასა და ეთნიკურ კულტურას (ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს), ეთნოსთა შორის ურთიერთობებს სწავლობს. სამწუხაროდ, მე დღეს ამ დარგის განვითარების პერსპექტივას ვეღარ ვხედავ, დაიფანტნენ იმედის მომცემი და ნიჭიერი ახალგაზრდები...

**– ამჟამად რაზე მუშაობთ?**  
ამჟამად მთლიანად გადართული ვარ

ქართული გვარსახელების ისტორიის კვლევაზე ანბანური რიგით. როგორც იქნა, მივიღე რუსთაველის ფონდის გრანტი და ორ კოლეგასა (ნათია ჯალაბაძე, ინგა ლუტიძე) და ახალგაზრდა დოქტორანტთან (გიორგი ვახტანგაშვილი) ერთად ინერება ქართული გვარების ისტორია. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ქართული გვარების ისტორიის წერა სამ წელიწადში შეუძლებელია. ფაქტობრივად, ახალგაზრდობის წლებში ამის საფუძველი მოვამზადე – მხედველობაში მაქვს საისტორიო საბუთებიდან ამონერილი 18 ათასი ბარათი, 50 საერთო რვეული – ამონერილი რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში ჩატარებული აღწერებიდან. ბევრი ეთნოგრაფიული მასალა დამიგროვდა – გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ასე რომ, მალე ქართული გვარების ისტორიის 6-7 ტომი გვექნება. სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთ გვარზე რამდენიმე გვერდი ინერება, ზოგიერთზე მხოლოდ რამდენიმე წინადადება. უფრო დამაფიქრებელი კი ისაა, რომ გამქრალი გვარები ბევრად ჭარბობს დღეს არსებულ ცოცხალ გვარებს.

ამ პროექტის დამთავრების შემდეგ უნდა დავუბრუნდე შუა გზაზე გაჩერებულ სამუშაოს, რომელიც ქართველთა ეთნოგენეზს შეეხება. ეს იქნება ახალი თვალსაზრისი. წინასწარ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემს ნაშრომში გამოირიცხება ე.წ. ქართიზაციის თეორია. კიდევ, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, ამ პრობლემაზე მუშაობა იმან გამაბედინა, რომ ვიცო ეთნოგენეზის და ეთნიკური ისტორიის შესახებ თეორიები.

**– ცოტა ხნის წინ, სხვა მეცნიერებთან ერთად, თქვენ გადმოგვცათ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სიგელი „მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო?**

– მეცნიერი ჯილდოებზე საერთოდ არ უნდა ფიქრობდეს. ამიტომ მოულოდნელი და დამაბნეველი იყო ჩემთვის რამდენიმე წლის წინ პრემია „საგურამოს“ მინიჭება და ახლა კი ეს – განათლების სამინისტროსა და რუსთაველის ფონდის ერთობლივი გადაწყვეტილება. ჩემს ასაკში ასეთი ყურადღება, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.

**– ორიოდე სიტყვა ოჯახის შესახებ..**

– მეუღლე ლუიზა (ლალი) ხითარიშვილი რომ არ მყოლოდა გვერდზე, ბევრ რამეს ვერ შევძლებდი. მისთვის არ არსებობდა და არ არსებობს რაიმე ისეთი მოთხოვნა, რაც მეცნიერულ საქმიანობას შემიფერხებდა. მამარაგებდა და მამარაგებს სამეცნიერო ლიტერატურით. მყავს ორი შვილი: ვაჟი – რევაზი – წარმატებული ადვოკატი, ქალიშვილი – თამთა – იურისტი, საქართველოს ბანკის თანამშრომელი. რევაზი და თამთა ექსპედიციებში ხშირად დამყავდა, თამთა ახლაც დამყავს; ამან, ბუნებრივია, გაუძლიერა საქართველოს სიყვარული. დღეს მას ერთგვარად „დაჯილი“ ყვავარ იმით, რომ დღემდე რამდენჯერმე უნდა მკითხოს – „როგორ ხარ?“. მყავს ორი შვილიშვილი ანასტასია და ანდრია თოფჩიშვილები.

**– რას ეტყოდით ქართველ ხალხს და ახალგაზრდობას?..**

ჩემს სტუდენტებს წლების განმავლობაში ვეუბნებოდი – ვინც ეკლესიაში დადიხართ სალოცავად, ღმერთს და წმინდანებს ჯერ საქართველოს და ქართველი ხალხის გადარჩენა და სიკეთე შესთხოვეთ და მერე საკუთარი თავის. დღესაც ამას ვეტყვი ყველა ქართველს...



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



### სალომე პაქსაძე – თსუ-ს კურსდამთავრებულის მორიგი წარმატება

დღეს იგი საფრანგეთის უძველეს და პრესტიჟულ სასწავლებელში – პანთეონ სორბონის უნივერსიტეტში (Paris I) – სწავლობს

8 გვ.

### სესილი გოგინავა გაცვლითი პროგრამით იენას საუნივერსიტეტო კლინიკაში იმყოფებოდა

ეს გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი პროფესიული განვითარებისთვის

9 გვ.

### სტუდენტის მოსაზრება

თამარ ნადირაძე:  
„აუცილებელია საქართველოში სამედიცინოს სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების სისტემის გაძლიერება“

10 გვ.



# სალომე პაქსაძე – თსუ-ს კურსდამთავრებულის მორიგი წარმატება

## თამარ ღალიანი

სალომე პაქსაძე ერთ-ერთია იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლებითა და საერთაშორისო გამოცდილებით საქართველოს ღირსეულად წარმოაჩენს მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში. 2025 წელს მან წარჩინებით დაასრულა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა, დღეს კი საფრანგეთის უძველეს და პრესტიჟულ სასწავლებელში – პანთეონ სორბონის უნივერსიტეტში (Paris I) – სწავლობს. მისი გზა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება მონდომებამ, განათლებისადმი სიყვარულმა და მიზანდასახულობამ კონკურენტუნარიანი გაგხადოს დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე.

სალომე პაქსაძემ 2025 წელს წარჩინებით დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა. დღეს იგი სწავლას აგრძელებს საფრანგეთში, პანთეონ სორბონის უნივერსიტეტში შედარებითი ევროპული და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც 50 სტუდენტს შორის ერთადერთი ქართველი წარმომადგენელია.

სალომესთვის იურიდიული ფაკულტეტი ყოველთვის ოცნების ფაკულტეტი იყო. „პატარაობიდანვე ვიცოდი, რომ იურიდიული ფაკულტეტზე მივდივარ სწავლის გაგრძელება. გულწრფელად რომ ვთქვა, სხვა უნივერსიტეტს არც განვიხილავდი. აბიტურიენტობისას ჩამონათვალში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ჩაენერე – ჩემთვის თსუ იყო პირველი და ერთადერთი არჩევანი“, – იხსენებს სალომე.

მისი გადაწყვეტილება არ ყოფილა შემთხვევითი. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საუკუნოვანი ისტორია და სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები

**2025 წელს მან წარჩინებით დაასრულა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა, დღეს კი საფრანგეთის უძველეს და პრესტიჟულ სასწავლებელში – პანთეონ სორბონის უნივერსიტეტში (Paris I) – სწავლობს. მისი გზა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება მონდომებამ, განათლებისადმი სიყვარულმა და მიზანდასახულობამ კონკურენტუნარიანი გაგხადოს დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე**



ბი მისთვის მთავარი მოტივაცია გახდა არჩევანის გაკეთებისას. „რთულია არ ჩააბარო იმ უნივერსიტეტში, რომლის პროფესორები თავად კანონმემოქმედები და მოქმედი მოსამართლეები არიან“, – ამბობს ის.

სალომე განსაკუთრებული სიამაყით იხსენებს იურიდიულ ფაკულტეტზე გატარებულ პირველ დღეს: „პირველ ლექციაზე პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ მოგვილოცა სწავლის დაწყება კავკასიის პირველ და უძველეს სამართლის სკოლაში. ამ სიტყვებმა მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და დღესაც მახსოვს ის ემოცია. მსგავსი განცდა მქონდა მაშინაც, როცა სორბონის უნივერსიტეტში პირველ ლექციაზე ლექტორმა აღნიშნა, რომ ჩვენ ვინცბდით სწავლას საფრანგეთის უძველეს და პრესტიჟულ უნივერსიტეტში. ეს ორი მომენტი ჩემთვის სიმბოლურად უკავშირდება ერთმანეთს“.

სწავლის პერიოდში სალომე აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მხარდაჭერით, მან „ერასმუს +“-ის პროგრამის ფარგლებში 2022–2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ნიცის

კოტ დ'აზურის უნივერსიტეტში, ხოლო მომდევნო წლის გაზაფხული ბრეტანის რეგიონის ნამყვან რენის უნივერსიტეტში გაატარა.

„თამამად შემიძლია ვთქვა: რომ არა ეს გამოცდილება, დღეს სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი არ ვიქნებოდი. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ საშუალება მომცა ახლოს გამეცნო ფრანგული განათლების სისტემა და საბოლოოდ ჩამომეყალიბებინა პროფესიული გზა. ფრანგულ ენაზე სწავლა უცხოელ სტუდენტებთან ერთად იყო ერთგვარი გამოწვევა, თუმცა ამ გამოცდილებამ მასწავლა, რომ შრომა ყოველთვის ფასდება და მიუღწეველი არაფერია“, – ამბობს სალომე.

სალომესთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს თსუ-ში მიღებული ცოდნა და ურთიერთობები. ის მადლიერებით აღნიშნავს ლექტორების უდიდეს წვლილს საკუთარ პროფესიულ განვითარებაში. „ყველა ლექტორის გავლენა ჩემთვის ფასდაუდებელია.“

განსაკუთრებით მახსოვს ქალბატონი ნათია ჩიტაშვილის ლექციები, რომლებიც შემდგომ რენის უნივერსიტეტშიც მოვისმინე. უცხოელი სტუდენტები აღფრთოვანებული იყვნენ მისი ცოდნითა და სწავლების დონით. მაშინ კვლავ ერთხელ გავაცნობიერე, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას თითოეული ჩვენგანი საკუთარი ქვეყნის პატარა ელჩია“, – ამბობს სალომე.

იგი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის თამარ ზარანდიას მიმართაც: „ქალბატონ თამარს უდიდესი წვლილი მიუძღვის არა მხოლოდ ჩემს პროფესიულ, არამედ პიროვნულ განვითარებაშიც. მისგან მიღებული მხარდაჭერა და ნდობა ყოველთვის მაძლევს მოტივაციას“.

დღეს სალომე პაქსაძე მტკიცედ მიისწრაფვის იმისკენ, რომ მიღებული ცოდნა თავის ქვეყანაში გამოიყენოს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ფრანკოფონულ საზოგადოებაში და გააძლიეროს ქვეყნის წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

„მჯერა, რომ საქართველოს შეუძლია ღირსეულად დაიმკვიდროს ადგილი ფრანკოფონულ სივრცეში. მსურს, ხელი შევუწყო ფრანგული ენის პოპულარიზაციას და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ გზას ირჩევენ, ვაჩვენო, რომ ამ ენის ცოდნა კარიერულად უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის“, – აღნიშნავს სალომე.

მისი მიზნები მჭიდროდ უკავშირდება საფრანგეთში მიღებულ გამოცდილებას და საერთაშორისო სამართლის ცოდნას: „ვეგებავ, რომ საფრანგეთში მიღებული ცოდნით შევუწყო ხელი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაციასა და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას“.

სალომე პაქსაძის გზა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა და განათლებისადმი სიყვარული წარმატების გარანტიაა.

## ახალგაზრდების ჩართულობით

# კონფერენცია – „გეოფიზიკური პრობლემები XXI საუკუნეში“

## ნინო ჯაფარიძე

29 ოქტომბერს თსუ-სა და გეოფიზიკური ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდული საერთაშორისო კონფერენცია – „გეოფიზიკური პრობლემები XXI საუკუნეში“. კონფერენციას ხელმძღვანელობდა თსუ-ს მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და დოქტორანტი სოფიკო მათიაშვილი. კონფერენცია მიზნად ისახავდა სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში, კვლევითი უნარების განვითარებასა და ახალგაზრდების ინტეგრაციას გეოფიზიკის სამეცნიერო სივრცეში.

„უნდა გავივიდეს ახალგაზრდა მკვლევართა, მეცნიერთა და სტუდენტთა ინტერესი გეოფიზიკის დარგისადმი, უნდა გააქტიურდეს მათი ჩართულობა კვლევით პროცესებში და უნდა გაიზარდოს თანამშრომლობის ასპექტები უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის. კონფერენციის ფარგლებში განხილული თემები ხელს შეუწყობს



ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო განვითარებას და გეოფიზიკის დარგის გაძლიერებას საქართველოში“, – აღნიშნა სოფიკო მათიაშვილი.

კონფერენციაზე წარმოადგინეს შემ-

დეგი მოხსენებები: „საქართველოს ტერიტორიაზე სამთო სამრეწველო ნიადგების რადიოეკოლოგიური შეფასების ანალიზი“ (სოფიკო მათიაშვილი); „აჭარის სანაპირო ზოლის მორფოდინამი-

კა“ (ირმა მაკალათია); „ენგურის კამხლის ირგვლივ ლოკალური სეისმურობის შეფასება“ (ნაზი ტულუში, ირინე ხვედელიძე); „სეისმური მონაცემების ანალიზი და გამოყენება და მეტეოროლოგიის შექმნა“ (თეიმურაზ კვიციანი); „ნიადაგის გაუდაზნოების მათემატიკური მოდელი“ (სალომე ძიგუა); „გეომავნიტური მონაცემების დინამიკის შესწავლა რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით“ (ლუკა ნულუკიძე); „დედამიწის მაგნიტური ველის ინვერსიების მართვა რიკიტაკის მოდელი“ (ლუკა კეზუა); „მდინარე ენგურის გეომორფოლოგია“ (სესილი მელია); „ლელვანთხევში ქვათაცვენის შეჩერების გზები“ (ბარბარე ჭელიძე); „სეტყვის პროცესები საქართველოში და ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება“ (მარიამ მოდრეკელიძე) და სხვ.

კონფერენციას ესწრებოდნენ თსუ-ს მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ ვარამაშვილი, დირექტორის მოადგილე ჯემალ ქირია, გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.



# რას გვეტყვის მომავალი ელენე კაკულიაზე, რომელიც უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულია?!

ნიკო ჩარკვიანი

22 წლის ელენე კაკულიამ, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წელს (2025) ნიუ-იორკში დაამთავრა, 4 წელიწადში დაგროვებული თავისი შთამბეჭდავი აქტივობებითა და წარმატებით მიაღწია იმას, რომ დღეს პარიზის ოფისში, გლობალური იურიდიული კომპანიის – **White & Case** – საერთაშორისო არბიტრაჟის დეპარტამენტის იურიდიულ ასისტენტად დასაქმდა. სწორედ ამ კომპანიაში გააგრძელებს ერთი წლით მუშაობას ელენე, რომელიც დარწმუნებულია, რომ პარიზის ოფისში იურიდიული მიმართულებით მრავალმხრივი საქმიანობა დიდ პროფესიულ გამოცდილებას შესძენს.

მანამდე ელენე, სწავლის პარალელურად, დასაქმებული იყო იურიდიულ ფირმა „ბიელსმი“ (**BLC**) პარალელგალის პოზიციაზე. „2000 წელს პროფესიონალი ქართველი იურისტების მიერ დაარსებული **BLC** ადგილობრივ ბაზარზე და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაიზარდა. დღეს კომპანია საქართველოს იურიდიულ ფირმებს შორის ერთ-ერთ ნამყვან პოზიციას იკავებს და კლიენტებს სრულყოფილ იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს საბანკო და საფინანსო სამართალში, საგადასახადო სამართალში, კორპორატიულ ტრანზაქციებში, უძრავ ქონებასა და ენერჯეტიკის სექტორში, ასევე სამართალწარმოებაში და საერთაშორისო არბიტრაჟში. **BLC**-ს ხელმძღვანელობს შვიდი პარტნიორი და ჰყავს ქვეყნის ყველაზე დიდი და მაღალპროფესიული იურიდიული გუნდი, რომელიც ცნობილია თავისი პროფესიონალიზმითა და ეთიკური სტანდარტებით. თბილისსა და ბათუმში არსებული ოფისებით **BLC** გლობალურ ქსელსაც წარმოადგენს პარტნიორი იურიდიული ფირმების საშუალებით. კომპანია აღიარებულია საერთაშორისო ავტორიტეტული პლატფორმების მიერ, მათ შორის: **Legal 500**, **Chambers Global**, **IFLR** და **Global Law Experts**“, – აღნიშნულია კომპანიის შესახებ დანერგულ ცნობარში. ამ კომპანიაში ელენე თავიდან სტაჟიორად აიყვანეს. მანამდე იგი იურიდიულ ფირმა „პრაიმ ლიგალსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატში იყო სტაჟიორად არჩეული.

ელენე კაკულიას, რომელიც წარმატებებს გზადაგზა აგროვებს, საერთა-



შორისო ასპარეზზე ცნობილ არაერთ კონკურსში/შეჯიბრებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს. ხშირ შემთხვევაში იგი ან გამარჯვებული გუნდის წევრი იყო, ან კონკურსში აღიარებული სპიკერი/ორგანიზატორი. გუნდს, რომელმაც იმპირებული სასამართლო პროცესის საერთაშორისო შეჯიბრებაში – **Hugo Sinzheimer Moot Court Competition 2025** – გამარჯვება მოიპოვა, თავისი მწვრთნელი ასე ეხმაურებოდა: „განსაკუთრებული პატივია, იყო გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი. ჩვენმა წარმომადგენლობამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი ადგილი დაიკავა (**Hugo Sinzheimer Moot Court Competition 2025**. მეტი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: <https://hsmcc2025.eu/>). წლებადგელი, საიუბილეო, მე-10 შეჯიბრების მასპინძელი იყო ბრატისლავაში მდებარე **European Labour Authority (ELA)**. ის ვებ-გვერდი: <https://www.ela.europa.eu/en>. საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა ყველა შეხვედრაში და, მათ შორის, ფინალში. შეჯიბრებაში მონაწილე ყველა სხვა გუნდი ევროკავშირის ქვეყნებს წარმოადგენდა. განსაკუთრებული მადლობა გამარჯვებული გუნდის წევრებს: ელენე კაკულიას, კონსტანტინე ფირცხალაიშვილს, ელენე კარიაულასა და სალომე ვარდოშვილს. თქვენი გუნდური მუშაობა და მომზადება გამორჩეულად შთამბეჭდავი იყო“, – აღნიშნულია მწვრთნელის წერილში.

ელენე კაკულიამ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად **2025 წელს მონაწილეობა მიიღო**, ასევე, ვაშინგტონში – კოლუმბიის ოლქში – ფილიპ ჯესაპის სახელობის საერ-

თაშორისო სამართლის იმპირებულ პროცესში. შეჯიბრებაში **152** ქვეყნის გუნდი იყო ჩართული.

სამართლის სტუდენტებისთვის ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმპირებული პროცესი მსოფლიოში უდიდესი იმპირებული სასამართლო შეჯიბრებაა, რომელშიც **100-ზე მეტი ქვეყნის 800-ზე მეტი** გუნდია ჩართული. მონაწილე ქვეყნები ყოველწლიურად ატარებენ ეროვნულ შეჯიბრებებს, გამარჯვებული გუნდები კი ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში გამართულ საერთაშორისო რაუნდში ასპარეზობენ. წელს ანალოგიური კონკურსი საქართველოშიც ჩატარდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა როგორც წერილი ნამუშევრების, ასევე სპიკერების შეჯიბრებაში გაიმარჯვა და კოლუმბიის საგზურიც მოიპოვა. ამ პროცესის აღიარებულ საუკეთესო სპიკერად ელენე კაკულია და მისი თანაგუნდელი ელენე-ეკატერინე დვალაძე დასახელდნენ. შეჯიბრების მორიგ რაუნდში თსუ-ს გუნდი დაუპირისპირდა ისეთ უნივერსიტეტებს, როგორებიცაა: კორნელის უნივერსიტეტი (აშშ), ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), მექსიკის და კენიის უნივერსიტეტები. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებამდე ელენე ტამკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტში (უზბეკეთი) ჯესაპის საზაფხულო სკოლაში იღრმავებდა გამოცდილებას.

ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმპირებული პროცესის – **Vis Pre-Moot**-ის – შეჯიბრში ელენე კაკულიას წარმატებას ასე ეხმაურება მწვრთნელი: „**TSU Vis Moot**-ის გუნდის გამორჩეული წარმატების გაზიარება გვინდა თბილისის **Pre-Moot**-ზე! გთავაზობთ ჩვენი მიღწევების მთა-

ვარ შეჯამებას: **1.** მიმიე კონკურენციის პირობებში, ყველა მონაწილე გუნდს შორის მეორე ადგილი მოვიპოვეთ! **2.** ჩვენ ვართ ეროვნული ჩემპიონები! ქართველი უნივერსიტეტებიდან მონაწილეებს შორის პირველი ადგილი დავიკავეთ და ეროვნული ჩემპიონობა მოვიპოვეთ. **3.** აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის რჩეული: დიდი პატივია, რომ **CLDP**-მ ჩვენი გუნდი ქართველ მონაწილეებს შორის თავის ფავორიტად გამოაცხადა. **4.** სპონსორების აღიარება: განსაკუთრებული მადლობა ელენე კაკულიასა და ალექსანდრე კახაძეს – მათი გამორჩეული გამოსვლის გამო. ისინი იურიდიული ფირმების სპონსორების ფავორიტებად დასახელდნენ! **5.** ელენე კაკულიას განსაკუთრებული წარმატება: სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ელენე კაკულიამ მოიპოვა პრესტიჟული საუკეთესო სპიკერის ტიტული და შესაბამისი თასიც. ეს შესანიშნავი გამარჯვება ნათლად ასახავს ელენეს პროფესიულ უნარებს“.

**2023 წელს ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტში (გერმანია)** ელენე იყო საზაფხულო სკოლის მონაწილე თემაზე: საერთაშორისო საჯარო სამართალი. ამავე წელს მაასტრიხტის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები) მან, როგორც ბრაუნ მოსტენის კლიენტის კონსულტაციის უნარების საერთაშორისო კონკურსის მონაწილემ, ეროვნული ჩემპიონობა მოიპოვა. ელენე კაკულია იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის – მომავალი თაობის სამართლებრივი განათლების ხელშეწყობისთვის ტრენერების მომზადების შესახებ – მონაწილე. იგი გახლდათ ეროვნული კონკურსის გამარჯვებული კლიენტთან კონსულტაციის უნარებში (თავისუფალი უნივერსიტეტი). **2022 წელს ელენემ მონაწილეობა მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს საზაფხულო სკოლაში (თემა: ადამიანის უფლებათა სამართალი), რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეგიდით გამართა ბათუმში.**

ყველა ეს აქტივობა ელენე კაკულიას სტუდენტობის წლებს უკავშირდება და იგი მადლიერია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მას ყველგან გამოადგა. ელენე ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს. წინ კიდევ დიდი გზა აქვს – საკუთარი გეგმების წინასწარ გამხელა არ უყვარს...

## სესილი გოგინავა გაცვლითი პროგრამით იენას საუნივერსიტეტო კლინიკაში იმყოფებოდა

მაია ტორაძე

სესილი გოგინავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტია. იგი უცხოეთში სასწავლებლად გაემგზავრა გაცვლითი პროგრამით, რომლის შესახებაც მეგობრისგან შეიტყო.

სესილი გაცვლითი პროგრამით იენას საუნივერსიტეტო კლინიკაში იმყოფებოდა, სადაც მას შესაძლებლობა ჰქონდა – ახლოს გაცნობოდა გერმანულ სამედიცინო პრაქტიკას. მისი თქმით, ეს გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროფესიული განვითარებისთვის: „პროგრამამ საშუალება მომცა შემესწავლა ახალი მიდ-

გომები და მეთოდები რადიოლოგიაში, გამეცნო თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურა და მენახა, როგორ მუშაობს მაღალი დონის კლინიკური სისტემა ევროპაში“, – ამბობს სესილი.

გერმანული სასწავლო მეთოდი მისთვის საინტერესო იყო, რადგან იენას უნივერსიტეტში სტუდენტები ერთვებიან როტაციას გადიან კლინიკის სხვადასხვა დეპარტამენტში, რაც მათ ეხმარება პრაქტიკული ცოდნის გაფართოებასა და პროფესიული ინტერესების უკეთ განსაზღვრაში. „ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტს, საკუთარი გამოცდილებით შეაფასოს, რომელი სფერო უფრო მოსწონს და სწორედ იქ განავითაროს თავი“, – აღნიშნავს სესილი გოგინავა.

მისი აზრით, საქართველოში სამედიცინო განათლების პროცესში სასურველია უფრო აქტიურად დაინერგოს მსგავსი კლინიკური როტაციები, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს რეალურ გარემოში მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამს თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას ქართულ ენაზე: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ თანამედროვე მასალებზე წვდომა – ეს ცოდნის განახლების და პროფესიული ზრდის წინაპირობაა“, – ამბობს იგი.

სესილი გოგინავას გამოცდილება კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს საერთაშორისო გაცვლი-



თი პროგრამები ახალგაზრდა მედიკოსების პროფესიულ ჩამოყალიბებასა და თანამედროვე მედიცინის სტანდარტებთან დაახლოებას.



# თამარ ნადირაძე: „აუცილებელია საქართველოში სამედიცინოს სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების სისტემის გაძლიერება“

მანია ტორაძე

თამარ ნადირაძე თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტია. მისი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანი გამოცდილებით გამოიდრდა, რადგან შესაძლებლობა მიეცა იენაში, ფრიდრიხ შილერის საუნივერსიტეტო კლინიკაში (Friedrich Schiller University) ერთთვიანი გაცვლითი პროგრამა გაეწეო.

როგორც თამარი იხსენებს, პროგრამის შესახებ პირველად შეიტყო მეგობრისგან, რომელიც მანამდე გინეკოლოგიის მიმართულებით იმავე უნივერსიტეტში იმყოფებოდა. „მეგობრის რჩევამ დამაფიქრა – ვიცოდი, რომ ეს იყო შანსი, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა“, – აღნიშნავს თამარი.

პროგრამაში მოსახვედრად მან თსუ-ში ინგლისური ენის გამოცდა ჩააბარა, რადგან საერთაშორისო სერტიფიკატი არ გააჩნდა. გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და სათანადო დოკუმენტაციის შეგროვების შემდეგ (რეკომენდაციები, სამოტივაციო წერილი და სხვა საჭირო დოკუმენტები) თამარმა გასაუბრება ინგლისურ ენაზე გაიარა და, ორივე ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ, გაცვლით პროგრამაში მოხვდა.

იენას საუნივერსიტეტო კლინიკაში გატარებული ერთი თვე თამარისთვის უდიდესი პროფესიული და პიროვნული გამოცდილება აღმოჩნდა. კლინიკის მასშტაბურობამ სტუდენტს მისცა საშუალება – გაცნობოდა მრავალფეროვან შემთხვევებსა და თანამედრო-

**იენას საუნივერსიტეტო კლინიკაში გატარებული ერთი თვე თამარისთვის უდიდესი პროფესიული და პიროვნული გამოცდილება აღმოჩნდა. კლინიკის მასშტაბურობამ სტუდენტს მისცა საშუალება – გაცნობოდა მრავალფეროვან შემთხვევებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს.**

ვე ტექნოლოგიებს. „ჩვენი პროგრამა მხოლოდ რენტგენს, MRI-ს, CT-სა და ულტრაბგერას არ მოიცავდა. გვექონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ინტერვენციული რადიოლოგიის პროცედურებსაც – ყველაფერი საოცრად თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებული და საინტერესო იყო“, – ამბობს თამარი.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი მისთვის ადამიანური დამოკიდებულება აღმოჩნდა: „ექიმები უდიდესი ყურადღებით გვიხსნიდნენ თითოეულ დეტალს, გვპასუხობდნენ ყველა კითხვაზე და პრაქტიკულ გამოცდილებას გვიზიარებდნენ. სტუდენტი თავს მნიშვნელოვნად გრძობდა“, – იხსენებს ის.

მიუხედავად არცთუ ისე ხანგრძლივი



„იქ ვნახე ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ჯერ საქართველოში არ გვაქვს. ეს იყო უდიდესი მოტივაცია, რომ მომავალში ამ მიმართულებით უფრო სიღრმისეულად ვიმუშაო“

პროგრამისა, თამარი ორი დღით რადიაციული თერაპიის განყოფილებაშიც მოხვდა, რაც, მისი თქმით, სრულიად ახალი და ინოვაციური გამოცდილება იყო: „იქ ვნახე ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ჯერ საქართველოში არ

გვაქვს. ეს იყო უდიდესი მოტივაცია, რომ მომავალში ამ მიმართულებით უფრო სიღრმისეულად ვიმუშაო“.

თამარი აღნიშნავს, რომ თსუ-მ მისცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ერასმუსის გაცვლით პროგრამაში. უნარ-ჩვევების დახვეწასთან ერთად ერთთვიანმა პროგრამამ მას სხვა კუთხით დაანახა საქართველოს სამედიცინო განათლების წინაშე არსებული გამოწვევებიც. „ჩვენთან რადიოლოგიის კურსი საინტერესოა, მაგრამ ძალიან შეზღუდული – სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნის დაგროვება უჭირთ. გერმანიაში კი სტუდენტები სრულად არიან ჩართულნი კლინიკურ პროცესებში, რაც მათ პროფესიულად ბევრად უფრო ზრდის“, – ამბობს იგი.

თამარის აზრით, აუცილებელია საქართველოში სამედიცინოს სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების სისტემის გაძლიერება. „უნდა გაიზარდოს კლინიკური საათების რაოდენობა, ჩატარდეს ჯგუფური პრაქტიკული ტრენინგები და სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა რეალურ შემთხვევებთან მუშაობისთვის. ასეთი მიდგომა მათ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ თავდაჯერებულობასაც შესძენს“, – მიიჩნევს თამარ ნადირაძე, რომლის გამოცდილებაც აჩვენებს, რომ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები არა მხოლოდ პროფესიულ უნარებს აძლიერებს, არამედ აჩენს ხედვას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს სამედიცინო განათლება საქართველოში პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით.

## ლიზი ბიძინაშვილი ახლახან დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც გაცვლითი პროგრამით სწავლობდა

მანია ტორაძე

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ლიზი ბიძინაშვილი ახლახან დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც გაცვლითი პროგრამით სწავლობდა მსოფლიოს ერთ-ერთ ნამყვან უნივერსიტეტში – ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტში.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალიან მდიდარია გაცვლითი პროგრამებით – ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც თსუ ავირჩიე და მიხარია, რომ მომეცა შანსი უცხოეთში სწავლისა“, – ამბობს ლიზი. ის ბავშვობიდან სწავლობს გერმანულ ენას და უკვე არაერთ გერმანულ საგანმანათლებლო პროექტში მიუღია მონაწილეობა. მისი თქმით, გაცვლით პროგრამაში ჩართვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღმოჩნდა მის ცხოვრებაში: „საპროგრამო მოთხოვნებში საფუძვლიანად უნდა გავრკვეულიყავი. ძალიან გვიან ნავაწყდი ინფორმაციას და მოკლე დროში მომიწია ყველა დოკუმენტის მოგროვება. ეს იყო საუკეთესო საონტანური გადაწყვეტილება, რაც კი მიმიღია“, – იხსენებს ის. მეორე ეტაპზე ლიზიმ გერმანულ ენაზე გაიარა გასაუბრება, რომელზეც მისი მოტივაცია, ინ-

**„როდესაც პირველად აღტაცება გადის, ხვდები, რომ მარტო ხარ და ყველაფერს თავად უნდა გაუმკლავდე. ეს გრძნობა ერთდროულად სტრესულია და სასიამოვნოც, რადგან იცი – საბოლოოდ ყველაფერი გამოგივა“**

ტერესები და არჩეული უნივერსიტეტის უპირატესობები განიხილეს. სულ მალე გაიგო სასიამოვნო სიახლე – ის პროგრამაში შეირჩა და ბერლინში სწავლა უნდა გაეგრძელებინა.

მიუხედავად იმისა, რომ მომზადების პროცესი საკმაოდ ინტენსიური იყო, ლიზისთვის უცხოეთში პირველი თვეები სასიამოვნო გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა: „გადავედი ახალ სახლში, ახალ ქვეყანაში და ვიცხოვრე უცხო ადამიანებთან ერთად, რომლებიც მალევე ჩემი ოჯახის წევრებად იქცნენ“, – ამბობს ის.

ბერლინში სწავლამ მას არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურის, არამედ საკუთარი თავის უკეთ გაცნობის შესაძლებ-



ლობა მისცა. „როდესაც პირველად აღტაცება გადის, ხვდები, რომ მარტო ხარ და ყველაფერს თავად უნდა გაუმკლავდე. ეს გრძნობა ერთდროულად სტრესულია და სასიამოვნოც, რადგან იცი – საბოლოოდ ყველაფერი გამოგივა“, – აღნიშნავს სტუდენტი.

ჰუმბოლტის უნივერსიტეტში ლიზი განსაკუთრებით მოიხიბლა სწავლების

განსხვავებული მეთოდებით. „სწავლების სისტემა ძალიან პრაქტიკული იყო – ხშირად გვექონდა ამოცანებზე დაფუძნებული დავალებები, რაც ბევრად ამარტივებდა სწავლის პროცესს. გარდა ამისა, სემინარებზე გვყავდა მონვეული სტუმრები – ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები, რომელთაც უშუალოდ ვესაუბრებოდით და უამრავ საინტერესო ინფორმაციას ვიღებდით“, – ამბობს ის.

თსუ-ში მიღებულ გამოცდილებას ლიზი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი თქმით, უნივერსიტეტმა მისცა არა მხოლოდ ცოდნა, არამედ პასუხისმგებლობის შეგრძნება და შესაძლებლობა, ჩართულიყო მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებში. მიუხედავად ამისა, სტუდენტი მიიჩნევს, რომ ქართულ უმაღლეს განათლებაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება აუცილებელია: „ჩვენთან, სამწუხაროდ, პრაქტიკული დავალებები ძალიან ცოტაა. ვფიქრობ, ამის შეცვლა ბევრად უფრო საინტერესოს გახდის და ლექცია-სემინარების პროცესს.“

ლიზის გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა – ეს არა მხოლოდ პროფესიული განვითარებისთვის, არამედ პიროვნული ზრდისთვისაც ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა.



# ახალი აღმოჩენა – თამაზ გამყრელიძისეული „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“

თამარ ღალიანი

თსუ-ში გაიმართა გამორჩეული მნიშვნელობის სამეცნიერო ღონისძიება – აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის აქამდე უცნობი ხელნაწერის – „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“ – პრეზენტაცია. „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“ გულისხმობს ეპოსის ტექსტის დადგენა-რეკონსტრუქციას ორიგინალ (აქადურ) ენაზე, რაც გადმოცემულია ლათინური ასოებით. ასე რომ, ჩვენს წინაშეა საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი ქართველი ლინგვისტის, თამაზ გამყრელიძისეული „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ „გილგამეშის ეპოსის“ ერთადერთი ტრანსლიტერაცია ქართულ მეცნიერებაში. მიხაკო წერეთლის მხოლოდ ქართული თარგმანია ჩვენამდე მოღწეული (კონსტანტინოპოლი, ქართველ კათოლიკეთა სავანე, 1924; ხელახალი გამოცემა – თსუ გამომცემლობა 2010), ტრანსლიტერაცია კი დაკარგულია.

თსუ-ს მუზეუმში გამართული პრეზენტაცია არა მხოლოდ ისტორიულ სამეცნიერო აღმოჩენას უკავშირდება, არამედ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უნივერსიტეტის კედლებში ინახება მსოფლიო მნიშვნელობის ინტელექტუალური მემკვიდრეობა.

„გილგამეშის ეპოსი“ კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი პირველი ლიტერატურული ძეგლია. „გილგამეშის ეპოსი“ იგივე „გილგამეშანი“ (ქართულ ენაზე) აქადური ენის ბაბილონურ დიალექტზე შეიქმნა და თარიღდება ძვ. წ. მესამე ათასწლეულით. ეპოსის ტექსტი ეფუძნება შუმერულ თქმულებებს ქურუქის მეფე გილგამეშზე, მოგვიანებით კი, ძვ. წ. VII საუკუნეში, ასურეთის მეფის – ამურბანიპალის – ბიბლიოთეკაში აქადური ენის ასურულ დიალექტზე გადაიწერა. ამურბანიპალის ასურულ ვერსიას დღეს სტანდარტულ ვერსიას ვუწოდებთ. ეპოსი 12 დაფას შეიცავს, თუმცა ეპოსის ორგანულ ნაწილს 11 დაფა წარმოადგენს.

სწორედ ამ უდიდესი მემკვიდრეობის სრულ ტრანსლიტერაციას (I – XI დაფის ჩათვლით) მივაგენით თამაზ გამყრელიძის პირად არქივში 2023 წელს თსუ მუზეუმის მიერ გამართულ ასირიოლოგიის კათედრისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. თამაზ გამყრელიძის ნაშრომი მოიცავს ასურული ვერსიის სრულ და ძველბაბილონური ვერსიის ორი ფირფიტის ტრანსლიტერაციას. ნაშრომი, რომელიც ენათმეცნიერმა პეტერბურგში იგორ დიაკონოვთან ასპირანტურის პერიოდში შეასრულა, დღემდე გარკვეული მიზეზების გამო არ ყოფილა გამოცემული. ამ აღმოჩენამ ახალი სიცოცხლე შესძინა ძველბაბილონური



ეს გამოცემა თსუ-სთვის მხოლოდ სამეცნიერო მიღწევა არ არის – ეს არის მონუმენტური მემკვიდრეობა, რომელიც გვახსენებს, რომ უნივერსიტეტის კედლებში ინახება ცოდნის ის განძეული, რომლის მნიშვნელობა ხშირად მხოლოდ დროს შეუძლია სრულად გააცნობიეროს. თამაზ გამყრელიძის ეს ნაშრომი სწორედ ასეთი აღმოჩენაა – ფურცელი, რომელიც ქართული მეცნიერების სახელით დაემატა მსოფლიო აკადემიურ ქრონიკას

ტექსტის კვლევის ისტორიას, ასევე გზა გაუხსნა მომავალ მკვლევართ, რომლებიც მომავალში გილგამეშის ეპოსის თარგმანზე იმუშავენ. თავად თამაზ გამყრელიძის მიზანი არ ყოფილა „გილგამეშის ეპოსის“ ქართული თარგმანის შესრულება, მისი მიზანი სავარაუდოდ ნაკითხვების დადგენა იყო.

თსუ-ს მუზეუმში გამართული პრეზენტაცია არა მხოლოდ ისტორიულ სამეცნიერო აღმოჩენას უკავშირდება, არამედ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უნივერსიტეტის კედლებში ინახება მსოფლიო მნიშვნელობის ინტელექტუალური მემკვიდრეობა

აღმოჩენილი ხელნაწერის შესაფასებლად მივმართეთ დუბლინის ტრინიტის კოლეჯის პროფესორს, ასირიოლოგ მარტინ უორთინგტონს, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სპეციალისტია ასირიოლოგიაში. გამოცემა დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის მიერ. წინასიტყვაობაში პროფესორი უორთინგტონი აღნიშნავს, რომ ტექსტი ეფუძნება რეჯინალდ კემბელ ტომპსონის 1930 წლის ნაშრომს. მი-

სი შეფასებით, „ეს ტრანსლიტერაცია არა მხოლოდ ტექსტოლოგიურად უნიკალურია, არამედ განსხვავებული ნაკითხვებითა და ინტერპრეტაციებით ახალ ფერს სძენს ეპოსის სტრუქტურასა და ბაბილონური ენის გაგებას.“ უორთინგტონის თქმით, თამაზ გამყრელიძეს ამ ტექსტზე მუშაობა სურდა ლიტერატურული ბაბილონური ენის თავისებურებების უკეთ შესასწავლად. მისი მეთოდი ემყარება ტრანსლიტერაციის სავარაუდო ვარიანტებს, რაც მეტყველებს გამყრელიძის საოცარ ფილოლოგიურ ინტუიციაზე. პროფესორი უორთინგტონი წინასიტყვაობაში დასძენს, რომ ეს ნაშრომი ასირიოლოგიის საერთაშორისო კვლევებში ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა თსუ-ს პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ეს ნაშრომი ბევრად სცდება ერთი სპეციალური დარგის საზღვრებს და წარმოადგენს სამეცნიერო მემკვიდრეობის გაგრძელების სიმბოლოს: „ეს ნიგნი ჩვეულებრივი ნიგნი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ „გილგამეშის ეპოსი“ აწერია. ამ ტექსტს მხოლოდ რჩეულნი წაიკითხავენ. ასირიოლოგია მეცნიერების ურთულესი დარგია, რომლის სპეციალისტებიც მცირედნი არი-

ან, მაგრამ სწორედ ასეთი ნაშრომები განამტკიცებს ტრადიციას, რომელიც თსუ-ში დაარსებიდან იღებს სათავეს. ჩვენი ამოცანაა ამ ტრადიციის უწყვეტობა“, – აღნიშნა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

როგორც ასირიოლოგმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ნინო სამსონიამ განაცხადა, ნაშრომის ხელნაწერი გამყრელიძის ოჯახმა თსუ-ს მუზეუმს გადასცა გამოფენისთვის. „როდესაც ხელნაწერს გავეცანით, მაშინვე მივხვდით, რომ საქმე გვექონდა განსაკუთრებულ სამეცნიერო მასალასთან. პროფესორ უორთინგტონს შეფასება და რეკომენდაცია ვთხოვეთ გამოსაცემად, თუმცა მარტინ უორთინგტონის ინტერესმა მოლოდინს გადააჭარბა, მან თამაზ გამყრელიძის ტრანსლიტერაცია შეისწავლა და კვლევის საფუძველზე თ. გამყრელიძისეული განსხვავებული ნაკითხვები დააფიქსირა, რაც წინასიტყვაობაში ცხრილის სახით არის წარმოდგენილი. მარტინ უორთინგტონის კვლევით თამაზ გამყრელიძის ნაშრომმა „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“ იმთავითვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, რაც უდიდესი მიღწევაა ჩვენი უნივერსიტეტისთვის“, – აღნიშნა ნინო სამსონიამ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ს მუზეუმის ხელმძღვანელი მაია გურაბანიძე, ვიცე-რექტორი ერეკლე ასტახიშვილი და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნათია ხულუზაური, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პროფესორ უორთინგტონს ნაშრომისადმი გამოჩენილი ინტერესისა და თანამშრომლობისთვის.

თამაზ გამყრელიძის მიერ შესრულებული „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“ წარმოადგენს იმ ინტელექტუალური შრომის შედეგს, რომელიც დროსა და სივრცეს სცდება. ეს ტექსტი ერთდროულად არის მეცნიერული კვლევა და კულტურული ხიდი – აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციიდან თანამედროვე საქართველოსაკენ. მისი გამოქვეყნება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ქართული მეცნიერება არა მხოლოდ მონაწილეობს მსოფლიო აკადემიურ ცხოვრებაში, არამედ თავად ქმნის მისთვის მნიშვნელოვან ნიმუშებს.

ეს გამოცემა თსუ-სთვის მხოლოდ სამეცნიერო მიღწევა არ არის – ეს არის მონუმენტური მემკვიდრეობა, რომელიც გვახსენებს, რომ უნივერსიტეტის კედლებში ინახება ცოდნის ის განძეული, რომლის მნიშვნელობა ხშირად მხოლოდ დროს შეუძლია სრულად გააცნობიეროს. თამაზ გამყრელიძის ეს ნაშრომი სწორედ ასეთი აღმოჩენაა – ფურცელი, რომელიც ქართული მეცნიერების სახელით დაემატა მსოფლიო აკადემიურ ქრონიკას.



# კონფერენცია პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის 100 წლისთავს მიეძღვნა

ჰართხია ბაროშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის 100 წლისთავს მიეძღვნა. დიდი მეცნიერის, თაობების აღმზრდელი მასწავლებლის ხსოვნის საღამოსა და სამეცნიერო კონფერენციას პროფესორის კოლეგები, თსუ-ს თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები, ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ.

საღამო გახსნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც აღნიშნა: „პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის (სიყვარულითა და მოფერებით მოხსენებისას ყველასთვის ნელი ბაბუნაშვილის) დაბადებიდან 100 წელი გავიდა. ქალბატონი ნელი იყო ნამდვილი უნივერსიტეტელი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). ნელი ბაბუნაშვილის პედაგოგებმა ეს უნივერსიტეტი დააარსეს და იგი ღირსეულად აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელზეც გაიზარდა და თავადაც მეცნიერთა, პედაგოგთა არაერთი თაობა აღზარდა. დღესაც ახსოვთ მის მოწაფეებს გამორჩეულად მშვენიერი, დახვეწილი, დიდი მეცნიერი და თვალსაჩინო პიროვნება, სასიამოვნოდ მოუბარი, მუდამ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული თავაზიანი ქალბატონი. იგი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხებზე მუშაობდა: იყო ანტონ კათალიკოსის



სახელისა და ღვანლის სწორად და მართებულად შემფასებელთაგან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მას ორი მონოგრაფია მიუძღვნა დამოუკიდებლად და თანაავტორთან ერთად. ჩემი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ არაქართულენოვანი მსმენელისთვის მისი ტელეგაკვეთილები, რომლებიც წლები გრძელდებოდა. გარდა ამისა, ქალბატონი ნელი იყო არაჩვეულებრივი ოჯახის შვილი და არაჩვეულებრივი ოჯახის დიასახლისი – გამორჩეული მეცნიერის, თურქოლოგ ნოდარ ჯანაშიას მეუღლე, რომლის 100 წლისთავს აღმოსავლეთ-მცოდნეობის მიმართულება სულ მალე აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქალბატონი ნელი იყო კარგი დედა და ბებია, იცოდა გამორჩეული მეგობრობა. მისი ურთიერთობა ქალბატონ მზექალა შანიძესთან განსაკუთრებული იყო. მინდა მადლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, ოჯახის წევრებსა და მის მეგობრებს მისი ღვანლის დაფასებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ კონფერენციაზე ბევრი ისეთი საკითხი განიხილება, რომელზეც ქალბატონი ნელი წლების განმავლობაში მუშაობდა. ის, რომ ამ თემებზე დღე-



საც გრძელდება მსჯელობა, მეცნიერის სიცოცხლის გაგრძელება“, – აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ. ელენე ბაბუნაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა ლონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ. „აკადემიკოს ვარლამ თოფურის აღზრდილი, პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი ქართული ენის გრამატიკის საკითხებისა და ქართული გრამატიკული აზრის ისტორიის გამორჩეული მკვლევარი გახლდათ. იგი 20 წლის განმავლობაში (1984-2004) ხელმძღვანელობდა თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრას, იყო სტუდენტების გამორჩეულად საყვარელი ლექტორი და მათი უფროსი მეგობარი. მისგან, ქართული ენის გრამატიკასთან ერთად, სტუდენტები სწავლობდნენ საუბრის მანერას, დარბაზულ მოქცევასა თუ ყველა იმ თვისებას, რაც შეიძლება მათ ღირსეული ცხოვრებისათვის გამოდგომოდათ. პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე; სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და

საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით. ძვირფასი მასწავლებლის, გამორჩეული უფროსი კოლეგისა და ქართული ენის ჩინებული სპეციალისტის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ იცოცხლებს მათ გულებში, ვისაც კი ქალბატონ ელენე (ნელი) ბაბუნაშვილთან ჰქონია ურთიერთობა“, – აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.

ელენე ბაბუნაშვილი, როგორც მეცნიერი, მასწავლებელი და მეგობარი, მოიგონეს კოლეგებმა, მისმა აღზრდილებმა: მერი ნიკოლაიშვილმა, გიორგი გოგოლაშვილმა, მია კვეხერელმა, ინგა სანიკიძემ, სალომე ოშიაძემ, ნინო ჭუმბურიძემ, ნანა ლოლაძემ და რუსუდან სალინაძემ.

სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებმა: რამაზ ქურდაძემ (პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა), რუსუდან ზექალაშვილმა (პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის მოღვაწეობის ერთი საინტერესო სფერო), თინათინ ბოლქვაძემ (გამონაკლისთა გადმოტანა უცხო ენათა ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების დადგენისას), მია ლომიამ (პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ფორმალური და სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი ქართულსა და მეგრულში), სალომე ოშიაძემ (საკვები, როგორც სოციალური კოდი: მჭადი ქართულ ლინგვოკულტურაში), გიორგი გოგოლაშვილმა (გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „მიჯაჭვული რაინდების“ ენობრივი თავისებურება) და სხვ.

## უნიკალური გამოცემის – „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ – პრეზენტაცია თსუ-ში



ღვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მომზადებული უნიკალური გამოცემის – „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ – პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„საქართველოსთვის პროფესიულ განათლებას თავისი გამოკვეთილი მნიშვნელობა აქვს. ისტორიულად ჩვენში პრესტიჟული იყო რაიმე ხელობის შესწავლა. მე-19 საუკუნე პროფესიული სკოლების ეპოქად იქცა. საქართველოში დღესაც ნათლად ჩანს პროფესიული განათლების საჭიროება. ვიცი, რომ ბევრი საინტერესო რამ იგეგმება ამ მიმართულებით. წარმოდგენილ წიგნში



შესული მასალის მოგროვება არ იყო ადვილი. ამ წიგნით ბევრ უცნობ ინფორმაციას გაიცნობს ფართო საზოგადოება“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

„პროფესიული განათლება ჩვენს ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს, ამ მიმართულებით განსაკუთრებულად ვამხვილებთ აქცენტებს; ვაპირებთ, რომ გავაძლიეროთ როგორც პროფესიული დანერგვების ინფრასტრუქტურა, ასევე განვავითაროთ ის პროგრამები, რომელიც ბაზრის საჭიროებაზე იქნება მორგებული, ასევე გავზარდოთ სასწავლებლების გეოგრაფიული არეალი. საქართველოში დღეს ბევრი ინვესტორი შემოდის და მათ არ უნდა ჰქონდეთ დისკომფორტი, არ უნდა სჭირდებოდეთ კადრების ჩამოყვანა, ჩვენი მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს დასაქმებული. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა სანდოობა პროფესიული პროგრამებისადმი“, – აღნიშნა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ.



წიგნს „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ საფუძვლად უდევს დღემდე არსებული გამოცემები, პერიოდიკა და სხვა საარქივო მასალები, რომელიც საქართველოში პროფესიული განათლების ისტორიას დოკუმენტურად ასახავს. მასალები მოძიებულია საქართველოს ეროვნული არქივის და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით.

საქართველოში პროფესიული კადრების მომზადებას მრავალი საუკუნის წინ ანიჭებდნენ უდიდეს მნიშვნელობას. ამის ნათელი დადასტურებაა უძველესი

კოლხეთისა და იბერიის მინათმეცნიერების კულტურა და ხელოსნური ტრადიციები, შუა საუკუნეების აკადემიები, ამქრები და სახელოსნოები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შეუწყვეს ხელი ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას, ერისა და ქვეყნის ურყეობას.

წიგნის ავტორ-შემდგენელია თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სალომე ჭანჭუჭიძე, მთავარი რედაქტორი – თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭყიშვილი.

გამოცემა „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მიერ თბილისის მერიის პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ კონკურსის – „საგამომცემლო საქმიანობა“ ფარგლებში მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დაიბეჭდა.

გამოცემა ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და მოიცავს პროფესიული განათლების ისტორიას XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 1921 წლამდე.

მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# ლადო პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი – სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედევა

ენო ხაუალია

აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას იმ ნოვატორ მეცნიერად იცნობენ, რომელსაც ეკონომიკურ მეცნიერებაში მუდამ სიახლე შემოაქვს და რომლის ეკონომიკურ თეორიებსაც საერთაშორისო აღიარება აქვთ. არაერთი რეგალიის „მფლობელი“ – ლადო პაპავა – პირველ რიგში თავს სწორედ მეცნიერად თვლის და ამ კონტექსტითაა გამდიდრებული მთელი მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. ამით აიხსნება ასევე მისი 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის – „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ (I) – აკადემიური დანიშნულება თუ არსი, რომელიც მეცნიერის მრავალმხრივი შემოქმედების აღმნიშვნელია და რომელშიც ამ გამოცემისთვის შექმნილი ეკონომისტთა სამეცნიერო ნაშრომებია ასახული. წიგნის სამეცნიერო რედაქტორებმა, თსუ-ს პროფესორებმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და გივი ბედიანაშვილმა იმთავითვე განსაზღვრეს ლადო პაპავასადმი მიძღვნილი საიუბილეო წიგნის შინაარსობრივი მხარე – ის არა მემუარებზე ან მოგონებებზეა აგებული, არამედ ეკონომიკური მეცნიერების საინტერესო მიგნებებზეა ორიენტირებული. პირველად ამ წიგნის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 ოქტომბერს გაიმართა. დონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები, ეკონომიკური მეცნიერების ნარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიებაზე თვალსაჩინო იყო ის დამოკიდებულებები, რაც სრულიად ეკონომიკური პროფილის აკადემიური წრის ნარმომადგენლებს აკადემიკოს ლადო პაპავასადმი გააჩნიათ, ვგულისხმობთ ამ პერსონის კვალიფიკაციის დონის აღიარებას ეკონომიკურ მეცნიერებაში. ახალგამოცემულ წიგნში სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო ერთად თავმოყრილი აკადემიკოს ლადო პაპავას ნაშრომთა ძირითადი სამეცნიერო შედეგები:

- სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის ნარმომების მეხუთე ფაქტორად დასაბუთება, რაც აისახა „გამოყენებითი ეკონომიკის“ ბრიტანულ სახელმძღვანელოში, რითაც ლადო პაპავამ პირველმა, ქართველ ეკონომისტთა შორის, საერთაშორისოდ აღიარებული წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძვლების განვითარებაში;
- „ნეკროეკონომიკის“ თეორიის ჩამოყალიბება;
- 2005 წელს აშშ-ში ამ სათაურით გამოყენებული მონოგრაფიისთვის 2008 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგინაშვილის სახელობის პრემია;
- ეკონომიკაში მოქმედი ადამიანის ახალი ტიპების – „ჰომო ტრანსფორმატიკუსის“ და „ჰომო ეკონომიკუსის“ ცნებების შემოღება და დასაბუთება;
- „ეკონომიკის ზომბირების“ თეორიის განვითარება;
- „რეტროეკონომიკის“ თეორიის ჩამოყალიბება;
- „ჩრდილოვანი პოლიტიკონომიის“ საფუძვლების შექმნა (პროფესორ ნოდარ ხადურთან ერთად);
- ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდების აგება, ლაფერ-კეინზიან-

ური სინთეზის შექმნა და განვითარება (პროფესორ იური ანანიაშვილთან ერთად);

- „გადასახადების გარეშე ეკონომიკის“ მოდელის შექმნა;
- ამ მოდელისა და ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდების აგებისთვის, ქართველ ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად, 2004 წელს ნაშრომთა ციკლისთვის – „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელეები“ – აკადემიკოს ლადო პაპავას მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.
- საგადასახადო კორუფციის ინდექსების შემუშავება;
- „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონცეფციის შემუშავება (ელდარ ისმაილოვთან ერთად) და „ცენტრალური კავკასიის“ გეოეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება;
- „სანქციონომიკის“ თეორიის საფუძვლების ჩამოყალიბება.

### ახალი ჯილდო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის

აკადემიკოს ლადო პაპავას სამეცნიერო ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა ჯილდოთი. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობის კიდევ ერთხელ დასაფასებლად თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ, წიგნის პრეზენტაციაზე, ლადო პაპავას ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფილიპე გოგინაშვილის სახელობის მედალი გადასცა.

„დღეს აღნიშნავთ ბატონი ლადო პაპავას ნარმატებულ სამეცნიერო საქმიანობას და ვატარებთ იმ წიგნის პრეზენტაციას, რომელიც ამ მნიშვნელოვან იუბილეს მიეძღვნა. ბატონი ლადოს აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა ყველასთვის ცნობილია – ის 500-ზე მეტი ნაშრომის ავტორია სხვადასხვა ენაზე. ქართულ ეკონომიკურ აზრს შეემატა მეცნიერი, რომელმაც დარგის განვითარებაში გამორჩეული წვლილი შეიტანა. მისი ავტორობით არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიაა გამოცემული როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. აკადემიური საბჭოს სახელით ვულოცავ ბატონ ლადოს ამ ღირსშესანიშნავ დღეს და მადლობას ვუხდით კოლექტივს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საინტერესო და ღირებული წიგნის შექმნაში“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ სიტყვით გამოსვლისას.

წიგნში – „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ (I) – ასახულია ეკონომისტ მეცნიერთა შემდეგი ნაშრომები: „არატრადიციული ეკონომიკის, როგორც თეორიული ეკონომიკის ახალი მიმართულება“ (ელგუჯა მექვაბიშვილი); „მცირე ქვეყნის ზოგიერთი ეკონომიკური თავისებურების შესახებ“ (დავით ნარმანია); „ბიზნესში ეთიკური ღირებულებების იდენტიფიცირების კვლევის მეთოდოლოგია“ (თეიმურაზ შენგელია); „გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის თანამედროვე რეალობა: კონფლიქტების გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე“ (ეთერ ხარაიშვილი); „მინოდების გლობალური ჯაჭვების რეგულირების მაკროეკონომიკური ეფექტები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“ (გივი ბედიანაშვილი); „ინოვაციური მენარმების განვითარების შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორები და მათი აღმოფხვრის გზები საქართვე-



ლოში“ (უშანგი სამადაშვილი); „ილია ჭავჭავაძის ხედევა აფხაზეთის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე“ (მურმან კვარაცხელია) და სხვ.

„წიგნი მიეძღვნა ჩვენს კოლეგას, გამორჩეულ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, მოქალაქეს, ეკონომისტს, ლადო პაპავას. ბატონმა ლადომ საფუძველი ჩაუყარა არაერთ ახალ თეორიულ კონცეფციას. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს კონფრონტაციული გლობალიზაციის კონცეპტი, რაც სრულიად ახლებური და გვაჩვენებს დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ცვლილების ლოგიკას. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნი, რომელიც 53 ავტორის ნაშრომებია შესული, მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას და ეხება ეკონომიკის ყველა სფეროს თეორიას, პრაქტიკას. ვფიქრობ, ეს წიგნი იქნება საინტერესო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისთვის, რადგანაც ის სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედევა გვათავაზობს“, – აღნიშნა წიგნის სამეცნიერო რედაქტორმა, თსუ-ს ასოცირებული პროფესორმა გივი ბედიანაშვილმა.

„წიგნის ორიგინალობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ განსაკუთრებულ როლთან, რა როლსაც ასრულებს აკადემიკოსი ლადო პაპავა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში“, – ასეთი შეფასება გააკეთა სიტყვით გამოსვლისას წიგნის სამეცნიერო რედაქტორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა. მან ხაზი გაუსვა ლადო პაპავას მიერ სიახლეებზე მუდმივად ორიენტირებულობას და აღნიშნა: „ბატონმა ლადომ საერთაშორისო დონეზე აღიარებული არაერთი მიმართულება შექმნა ეკონომიკურ მეცნიერებაში და განსაკუთრებით თეორიულ ეკონომიკაში. მისი წიგნებით სწავლობენ ჩვენი დოქტორანტები და კიდევ ბევრი თაობა ეზიარება იმ ეკონომიკურ თეორიებს, რომლის შემოქმედებაცაა თავად ჩვენ, ეკონომისტები, სამსუხაროდ, არ ვართ განებივრებული საერთაშორისო ყურადღებით, რაც, ალბათ, ჩვენი ბრალიცაა. ამ თვალსაზრისით ბატონი ლადო არის გამონაკლისი. 70 წლის იუბილეზე, როდესაც ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“ ლადო პაპავას შესახებ დავწერეთ, მასში რამდენიმე უცხოელი ცნობილი ეკონომისტის შეფასებებიც შევიტანე ბატონი ლადოს თეორიების თაობაზე. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე მწვედი ეკონომისტი ანდერს ოსლუნდი ბატონი ლადოს ერთ-ერთ წიგნზე წერდა: ეს არის უმნიშვნელოვანესი წიგნი, რომელიც ძალიან კარგ ნარმოდგენას გვაძლევს იმ ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, რომელიც გარდამავალ ქვეყნებში ხორციელდება. კიდევ ბევრი სიახლის აღნიშვნა შეიძლება, რომელიც ასე უხვად არის მიმოხეული გამორჩეული ეკონომისტის მეცნიერულ ნაშრო-

მებში. ასევე გამოყოფ ლადო პაპავას განსაკუთრებულ საზოგადოებრივ აქტივობებსაც. ის ყოველთვის აფიქსირებს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებზე. ხდება ზოგჯერ ისე, რომ მისი, როგორც მეცნიერის, პოზიცია არ ითვალისწინებს კონიუნქტურულ პოზიციას. მაგალითად, თსუ-ს რექტორობისას მან კატეგორიულად გაილაშქრა იმ იდეის წინააღმდეგ, რაც ქვეყნის მაშინდელ მთავრობას ჰქონდა იმ მილსადენის პრივატიზებასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთს ამარაგებდა გაზით. ბატონმა ლადომ მაშინ თქვა, რომ ეს არის სტრატეგიული ობიექტი და ასეთი ობიექტის პრივატიზება არ შეიძლება. მე, როგორც მისი მეგობარი, ცოტა შევცბუნდი და ვუთხარი კიდევ – თავი შეეკავებინა პოზიციის გამოხატვისგან, მაგრამ მან ასეთი პასუხი გამცა: მე, პირველ რიგში, ვარ მეცნიერი და მეჩვენება თანამედრობის პირობა. ამ პრინციპით ცხოვრობს იგი დღემდე და ეს ეტყობა მის მეცნიერულ შემოქმედებასაც. 500-ზე მეტი ნაშრომი, რომელიც სხვადასხვა ენაზეა გამოქვეყნებული, იქმნებოდა იმ მნიშვნელოვან თანამედრობებზე ყოფნის პარალელურად, რა პოზიციებიც მას ეკავა სხვადასხვა დროს მთავრობასა თუ პარლამენტში. მან ყველაფერი შეძლო და მოასწრო, რადგან მას საკუთარი საქმე უყვარს. იგი, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერია და ყველა მიმართულებით ამ სტატუსით პოზიციონირებს. ნოვატორული დამოკიდებულება მეცნიერების მიმართ მას მემკვიდრეობითაც გადმოჰყვა მამისგან, პროფესორ გიორგი პაპავასგან, რომელიც სოლიდურ ასაკშიც კი ნამდვილი იდეების გენერატორი იყო. ბატონი ლადო კიდევ არაერთ ახალ თეორიას შექმნის და წვლილს შეიტანს ქართული მეცნიერების განვითარებაში“.

ლადო პაპავა, რომელთან შეთანხმებითაც განისაზღვრა წიგნის – „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“ (I) – შინაარსობრივი მხარე, პრეზენტაციაზე დამსწრე აუდიტორიის წინაშე მადლობის სიტყვით წარსდგა.

ესოდენ მნიშვნელოვანი მორიგი ჯილდო – ფილიპე გოგინაშვილის სახელობის მედალი – მისთვის დამატებით სტიმულის მიმცემია მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. გარდა იმისა, რომ ლადო პაპავა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორია, იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანაცაა. მისი ღვაწლის შედეგებს დღე-იდან კვლავაც ელოდება ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ტაშს უკრავს მასწავლებელს სწორედ რომ ნოვატორობისა და მისი აღმზრდელობითი პრინციპების ერთგულად მსახურებისთვის.



# ფლორენცია, მეგობრობა და კულტურათა დიალოგი – თსუ-ში პაოლო დელ ბიანკოს 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა

მაია ტორაძე

2025 წლის 7 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა გამოფენას, რომელიც მიძღვნილი იყო ფლორენციისადმი – ქალაქისადმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის ცივილიზაციის, კულტურისა და შემოქმედების სინონიმად იქცა. ღონისძიება განსაკუთრებით სიმბოლური იყო, რადგან ორგანიზატორებმა ის დაუკავშირეს სამ მნიშვნელოვან თარიღს: მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 80 წლისთავს, რომელსაც აღწერილი იქნა 25 წელსა და ფონდის პრეზიდენტის, ფილანთროპის, საქართველოს დიდი მეგობრის პაოლო დელ ბიანკოს 80 წლის იუბილეს. ფლორენციისადმი მიძღვნილი გამოფენა იყო დასტური კულტურათაშორის დიალოგისა, სადაც ხელოვნება, ისტორია და ადამიანური ურთიერთობები საერთო ენად იქცა.

გამოფენა გახსნა თსუ-ს მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ, რომელმაც აღნიშნა: „ეს გამოფენა ჩვენი მადლიერების გამოხატვაა იმ ბრწყინვალე ადამიანისადმი, რომელმაც, თავისი მამის სახელობის ფონდის მეშვეობით, ხელი შეუწყო ჩვენი სტუდენტების განათლებას, ქვეყნის პოპულარიზაციასა და საქართველოს, როგორც უნიკალური კულტურის ქვეყნის, საერთაშორისო ცნობადობის ზრდას“.

თსუ-ს ვიცე-რექტორმა ერეკლე ასტახიშვილმა გამოფენაზე გაიხსენა ფონდის დაარსების ისტორია, რომლის მონაწილეც თავად იყო და აღნიშნა, რომ პაოლო დელ ბიანკოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პროცესში. რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკო დაახასიათა როგორც „დიდი ფლორენციელი“, რომელმაც მედიჩების კულტურული მისია გააგრძელა თანამედროვეობაში და უდიდესი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნების კულტურათაშორის დიალოგში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მშვიდობის საქმეში.“

\*\*\*

რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკოს ფონდის დაარსების იდეა მის შვილს – საქართველოს დიდ მეგობარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორსა და თბილისის საპატიო მოქალაქეს პაოლო დელ ბიანკოს ეკუთვნის. როგორც ის თავად აღნიშნავს, ეს იდეა 1998 წელს საქართველოში ვიზიტის დროს გაჩნდა და მას შემდეგ ფონდმა თავისი აქტიურობით, კრეატიულობით



საქართველო-იტალიის ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის პაოლო დელ ბიანკომ თსუ-ს პროფესორი ლეილა ხუბაშვილი ბრინჯაოს (2013) და ვერცხლის (2019) მედლებით დააჯილდოვა

ითა და ტოლერანტობით ფლორენცია ახალგაზრდებისა და მეცნიერების შეხვედრების ადგილად გადააქცია. დღეს ფლორენციის ცენტრში მდებარე XVI საუკუნის სასახლე – პალაცო კოპინი – ფონდის ოფისი, საერთაშორისო შეხვედრების, კულტურათაშორის დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგაზიარების ცენტრია. ფონდის გენერალურ ასამბლეებში აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ქვეყნის განათლების მინისტრები, რექტორები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, იუნესკოსა და იკომოსის გენერალური მდივნები. რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკოს ფონდთან ურთიერთობა თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის დროიდან დაიწყო. 2008 წელს უნივერსიტეტის მანქანაში რექტორმა, პროფესორმა გია ხუბაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმა, რომლის ფარგლებშიც, პაოლო დელ ბიანკოს ორგანიზატორობით, მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და კულტურული ღონისძიება განხორციელდა.“

პაოლო დელ ბიანკოს დამსახურება საქართველოს წინაშე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია: 10 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის რვა სტუდენტმა, პროფესორ ლეილა ხუბაშვილთან ერთად, ერთი კვირის მანძილზე ფონდის დაფინანსებით შეძლო ფლორენციაში ცხოვრება, მუზეუმებში ვიზიტი, მასტერკლასების გაგება და, რაც მთავარია, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

პაოლო დელ ბიანკოს უშუალო ორგანიზებით, საქართველო-რუსეთის 2008



წლის ომის შემდეგ, ფლორენციაში მოეწყო ომგადახდილი საქართველოს კულტურის დღეები, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფონდის მიერ საქართველოსა და უნივერსიტეტისთვის გაკეთებულ საქმეთაგან უნდა გამოიყოს საქართველოს სამუზეუმო ქსელის განთავსება პორტალზე, რომელსაც „ცხოვრება ტურიზმის მიღმა“ ჰქვია. პორტალი, არგენტინიდან მოყოლებული, მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. პორტალის პრეზენტაციას თბილისის მერიამ წინ უძღოდა პაოლო დელ ბიანკოს საპატიო თბილისელად არჩევა. სწორედ პაოლოს საჩუქარია ცნობილი იტალიელი სკულპტორის, დერენიეს კარერას თეთრი მარმარილოსგან შექმნილი ლეონარდო და ვინჩის ბიუსტი, რომელიც ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დგას.

საქართველოს, თბილისისა და ქართველი ხალხისადმი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა ისიც, რომ პაოლო დელ ბიანკომ 2013 წლის თბილისის წყალდიდობის შემდეგ სტიქიით დაზარალებულთა ფონდში სოლიდური თანხა გადმოიტანა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 2015 წელს განხორციელებული რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკოს ფონდისა და აფხაზეთის ა/რესპუბლიკის ერთობლივი საერთაშორისო პროექტი – ინტერკულტურული დიალოგი: „რა გვაახლოებს და რა გვაშორებს“, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ სოხუმიდან ჩამოსული აფხაზი, ქართველი, უკრაინელი, რუსი სტუდენტები და ახალგაზრდული საერთაშორისო ორგანიზაცია „რონდინე“ (იტალია). პროექტის მუშაობაში მონაწილეობდა იტალიაში საქართველოს საელჩო და თსუ-ს პროფესორი ლეილა ხუბაშვილი. აღსანიშნავია, რომ, რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკოს ფონდის დახმარებით, ტოსკანის 21-მა მედიამ ფართოდ გააშუქა ეს შეხვედრა. აღინიშნა, რომ საქართველო ოკუპანტი ქვეყანა არაა, როგორც ამას იტალიაში მყოფი აფხაზები ავრცელებენ და რომ აფხაზეთი

საქართველოს ისტორიული ნაწილია. ტოლერანტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ფონდისა და თსუ-ს მიერ 2017 წელს ფლორენციაში ჩატარებული სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რელიგიათა დიალოგი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩეჩენმა, კოსოვოელმა, სომეხმა, რუსმა, უკრაინელმა, აფხაზმა სტუდენტებმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ვატიკანის, ისე საპატრიარქოს წარმომადგენლები. ჩართული იყო, ასევე, საქართველოს საელჩო ვატიკანში.

საქართველო-იტალიის ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის პაოლო დელ ბიანკომ თსუ-ს პროფესორი ლეილა ხუბაშვილი ბრინჯაოს (2013) და ვერცხლის (2019) მედლებით დააჯილდოვა.

2019 წელს, ფონდის ორგანიზებით, პაოლო დელ ბიანკომ ფლორენციაში აღნიშნა თსუ-ს 100 წლის იუბილეს, რომელსაც 47 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. მას საჩუქრად გადაეცა უნივერსიტეტის საიუბილეო ოქროს მედალი, პატრიარქისგან კი – ძვირფასი ხატი. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს, პირველი ვიზიტის დროს, პატრიარქის ნაჩუქარ წმინდა ნინოს ჯვარს პაოლო დელ ბიანკო ნათლობის ჯვარში ჩასმულს ატარებს.

რამდენიმე დღეში – 26-29 ნოემბერს – ფლორენციაში რომელმაც აღნიშნა: „პაოლო დელ ბიანკოს ფონდი სამ მნიშვნელოვან ღონისძიებას ერთად აღნიშნავს: გაიხსენა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 80 წლისთავთან დაკავშირებული ბრინჯაოს ნამუშევარი („STUPORE (საოცრება): 1945-2025 ომის ლითონიდან – მშვიდობის ლითონად“), რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ფონდის ფილოსოფიას: „ცხოვრება ტურიზმის მიღმა“ – როგორც კულტურათაშორისი დიალოგისა და მშვიდობის საშუალებას. ამავე დღეს გაიმართა ღონისძიებები, რომელიც მიძღვნილია ფონდის დაარსების 25 წელსა და ფონდის პრეზიდენტის პაოლო დელ ბიანკოს 80 წლის იუბილეს.“

## სტომატოლოგებისთვის გამოცემა ახალი სახელმძღვანელო – „ენდოდონტია“

ენდოდონტია

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიური დეპარტამენტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე კათედრის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან გოგილაშვილის ხელმძღვანელობით გამოცემა ახალი სახელმძღვანელო „ენდოდონტია“ (ორტომეული).

ენდოდონტია სტომატოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა, რომელიც შეისწავლის კბილის არხების

ანატომიას, ფიზიოლოგიას, პულპისა და პერიაპიკალური ქსოვილების მორფოლოგიას, პათოლოგიას და მკურნალობის მეთოდებს.

სახელმძღვანელო შექმნილია სტუდენტების განვითარების ხელშეწყობად, რომ ისინი უკეთ იყვნენ აღჭურვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რათა წარმატებით უზრუნველყონ პაციენტების მოთხოვნებს და 21-ე საუკუნის გამოწვევებს. წიგნი წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია უზრუნველყოფს მეთოდების თეორიული საფუძვლების და პრაქტიკული გამოცდილების გაზი-

არებას, რომელიც სრულად არის მორგებული სტუდენტების საჭიროებებზე.

სახელმძღვანელოს ორი ტომი განკუთვნილია როგორც დიპლომანტი და დიპლომის შემდგომი განათლების სტუდენტებისთვის, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის და პრაქტიკოსი სტომატოლოგებისთვის. მისი მთავარი მიზანია საფუძვლის შექმნა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებისთვის.

სახელმძღვანელოს ორტომეული გამოცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივე-



რსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით და დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

# დაჩა მარაინი – ქალი, რომელმაც სიჩუმე სიტყვად აქცია

მაია ტორაძე

დაჩა მარაინი – ეს სახელი იტალიურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია ნიშნავს ქალს, რომელიც თავისუფლების სახელით წერს!

საყოველთაოდ აღიარებული იტალიელი პროზაიკოსის, პოეტის, დრამატურგის, რეჟისორის, სცენარისტის, პუბლიცისტის, კინოდოკუმენტალისტის, ჟურნალისტისა და მთარგმნელის დაჩა მარაინის მრავალრიცხოვანი რომანი, პიესა, ლექსი თუ ესეისტური ნაშრომი მსოფლიოს 25 ენაზეა თარგმნილი და არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო პრესტიჟული ლიტერატურული პრემია აქვს მოპოვებული; მას მინიჭებული აქვს რამდენიმე იტალიური და უცხოური უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო წოდება, წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

2024 წელს ქართველ მკითხველს მიეცა შესაძლებლობა – მშობლიურ ენაზე გაცნობოდა დაჩა მარაინის 2002 წელს გამოცემულ ნიგნს „წერის სიყვარული“, რომელიც მისივე საავტორო სატელევიზიო გადაცემის – „მე ვწერ, შენ წერ“ – მასალების საფუძველზე დაიბადა და რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ავტორის ნებართვით გამოსცა.

დაჩა მარაინი დაიბადა 1936 წელს ფლორენციის პროვინციის ქალაქ ფიეზოლეში. დედა – ტოპაზია, პროფესიით მხატვარი და სიცილიური არისტოკრატიული გვარის ალიატა სალაპარუტას ჩამომავალი იყო, მამა – ფოსკო მარაინი – ნახევრად ინგლისელი, ცნობილი მწერალი და ანთროპოლოგი გახლდათ, მრავალი ნაშრომისა და ფოტოგრაფიული ალბომის ავტორი ტიბეტისა და იაპონიის შესახებ. წლების შემდეგ დაჩა იტყვის, რომ მასზე, როგორც მწერალზე, გავლენა მისმა ოჯახმა და მამამ იქონია, აქვე იმასაც დასძენს, რომ მოგზაურობის სიყვარულიც ოჯახიდან მოჰყვება.

1938 წელს ფოსკო მარაინი მთელი ოჯახით იაპონიაში, კერძოდ, ჰოკაიდოში, გადასახლების გზაზე მყოფი ქერა და ცისფერთვალება ტომის – ჰაინუს (სავარაუდოდ, კავკასიიდან წასული ტომის) შესასწავლად გაემგზავრა. 1943 წელს იტალიასა და გერმანიასთან ალიანსში მყოფმა იაპონიის მთავრობამ ცოლქმარ მარაინებს მოსთხოვა – ხელი მოეწერათ სალოს ფაშისტური რესპუბლიკის მხარდაჭერა პაქტზე და, სასტიკი უარის გამო, ანტიფაშისტი ცოლქმარი, სამ მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად, ნავიას საკონცენტრაციო ბანაკში გააძევეს, სადაც მათ უკიდურესი შიმშილის, სიცივისა და დამცირების ორწლიანი ტყვეობა ელოდათ. მიუხედავად მცირე ასაკისა, დაჩა მარაინის მეხსიერებამ უამრავი ემოცია შემოინახა, რაც მოგვიანებით აღიწერა კიდევ მის ბოლო ნიგნში „ცხოვრება ჩემი“.

ომის შემდეგ ოჯახი იტალიაში დაბრუნდა. ახალგაზრდა მარაინი სწავლობდა ფლორენციასა და რომში, სადაც თანდათან ჩამოყალიბდა როგორც მწერალი და როგორც ქალი, რომელიც მზად იყო ხმამაღლა ეთქვა ის, რასაც სხვები ჩუმად ფიქრობდნენ.

1960-იან წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „La vacanza“ („არდადეგები“) – ამბავი ქალზე, რომელიც ცდილობს საკუთარ ცხოვრებასა და გრძნობებში წესრიგის დამყარებას იმ ეპოქაში, როცა ქალის ხმაც კი რეგლამენტირებული იყო. რომანის წინასიტყვაობა ეკუთვნის ცნობილ მწერალს ალბერტო მორავას, რომელმაც ახალგაზრდა ქალის გაუნაფავ სტრიქონებში მომავალი დიდი მწერალი დაინახა. მალევე გამოვიდა ნიგნი – „L'età del malessere“ („უქიფობის ასაკი“), რომელიც მარაინი ფართო საზოგადოებამ შეამჩნია.

მიუხედავად არაერთი საინტერესო რომანისა თუ პოეტური კრებულისა, და-



„არ არსებობს თავისუფლება მესხიერების გარეშე“, – წერს დაჩა მარაინი – ბავშვი საკონცენტრაციო ბანაკიდან, რომელიც გვასწავლის – როგორ შეიძლება ტკივილი იქცეს სიტყვად და სიტყვა – იმედად.

ოთხმოცდაათ წელს მიღწეული მწერალი ისევ ისეთივე მიზანდასახულია, როგორც ახალგაზრდობაში. მისი ყოველი ნიგნი, ყოველი სიტყვა გვახსენებს, რომ თავისუფლება იწყება იქ, სადაც ადამიანი საკუთარ ამბავს არ მალავს.

## დაჩა მარაინი თსუ-ში

24 ოქტომბერს აღმანახ „პირველი სხივის“ რედაქტორის, პროფესორ გიორგი ლობჯანიძის ინიციატივითა და თსუ-ს მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელის, მარინა სალუქვაძის ძალისხმევით, საქართველოს ენვია დაჩა მარაინი – ყველაზე ცნობილი თანამედროვე იტალიელი ავტორი იტალიის საზღვრებს გარეთ. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიას თავად წარუდგინა ნიგნი „წერის სიყვარული“.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ს ვიცე-რექტორი ერეკლე ასტახიშვილი, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასიმილიანო დანტუონო, დაჩა მარაინის მთარგმნელი ნუნუ გელაძე, ქართველი მწერლები, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები.

შეხვედრა გახსნა თსუ-ს ლიტერატურული აღმანახის – „პირველი სხივის“ – რედაქტორმა, პროფესორმა გიორგი ლობჯანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაჩა მარაინი ქართველი მკითხველისთვის ცნობილია, ძირითადად, ქართველი მთარგმნელის ნუნუ გელაძის ძალისხმევით, რადგან ქართულად თარგმნილი ოთხი ნიგნიდან სამი („ხმები“, „გოგონა და მესიზმრე კაცი“, „წერის სიყვარული“) სწორედ ქალბატონმა ნუნუმ გააცნო საქართველოს. „ეს არანვეულებრივი ნიგნი, რომელსაც ჰქვია „წერის სიყვარული“, არის თეორიული კურსი დაჩა მარაინის სატელევიზიო ლექციებისა, რომლის დროსაც ავტორი პასუხობდა შეკითხვებს წერის, როგორც ხელოვნების, შესახებ. ნიგნი შესანიშნავი გზამკვლევაა ყველასთვის – მათთვის, ვინც ახლა იღებს კალმს და მათთვისაც, ვინც უკვე ეზიარა წერის ხელოვნებას. ეს თეორიული ნაშრომი ისეა აგებული, რომ იკითხება, როგორც კარგი რომანი. ნიგნის ნაწილები იბეჭდებოდა აღმანახ „პირველ სხივში“ რუბრიკა „მასტერკლასის“ ქვეშ. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა, რომ ის „პირველი სხივის“ ბიბლიოთეკის ეგიდით გამოგვეცა. ამდენად, „წერის სიყვარული“ არის ამ ბიბლიოთეკის პირველი ნიგნი, რომელიც, ვიმედოვნებთ, წარმატებული აღმოჩნდება“, – აღნიშნა მან და დასძინა, რომ ქართველი მკითხველისთვის ძვირფასი შენაძენი იქნება დაჩა მარაინის კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოების – „ძვირფასო პიერ პაოლო“ – თარგმნა (ნიგნი მიეძღვნა დაჩა მარაინის უახლოეს მეგობარს, მწერალსა და კინორეჟისორს, პიერ პაოლო პაზოლინის).

უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ერეკლე ასტახიშვილმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა მწერალს საქართველოში ვიზიტისთვის და

ჩას ნამდვილი ტრიუმფი მოუტანა 1990 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „მარინა უკრიას ხანგრძლივი ცხოვრება“ (ნიგნი 75-ჯერ გამოიცა და მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა). ეს არის ისტორია მდუმარე ქალზე, რომელიც ნელ-ნელა სწავლობს, რომ მისი სიჩუმე შეიძლება სიტყვად იქცეს. ნიგნმა ავტორს იტალიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია – Premio Campiello – მოუტანა და მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

მარაინი არასოდეს შემოიფარგლებოდა მხოლოდ მწერლობით. მან შექმნა ქალთა თეატრი Teatro della Maddalena, რომლის სცენაზეც მისმა არაერთმა პიესამ შეიძინა სასცენო სიცოცხლე. პიესები ეხება სიყვარულს, მარტოობასა და იმ გამბედაობას, რომელიც საჭიროა საკუთარი ხმის მოსაძებნად.

მარაინი ყოველთვის იდგა იქ, სადაც ჩუმად ყოფნა ყველაზე ადვილია, და მაინც, ირჩევდა ლაპარაკს. მისი რომანების მიხედვით იღებდნენ ფილმებს, რომლებშიც თამაშობდნენ მონიკა ვიტი („ქურდი ტერეზა“, 1973), მარჩელო მასტროიანი („პიერას ამბავი“, 1980) და სხვა ვარსკვლავები. ის წლების განმავლობაში წერდა ესეებს, რომლებშიც საუბრობდა ქალთა უფლებებზე, განათლებაზე, მესხიერების მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ ლიტერატურას შეუძლია შეცვალოს სამყარო. მარინა უკრია, კიარა დასიზი, კატერინა და სიენა, ვერონიკა ფრანკო, მარია სტიუარტი, მონაზონი ხუანა, დონა ლინორა, მადამ ბოვარი, შემდეგ ტერეზა ნუმა, იზოლინა და მრავალი სხვა – ესენი ხშირად იმედგაცრუებული, გაუპატიურებული, მოკლული, მაგრამ ასევე ძლიერი, მამაცი ქალები არიან, რომლებიც, ფაქტობრივად, მარაინის მთელ შემოქმედებას მოიცავენ და გვასწავლიან – როგორ აქციონ სიჩუმე ხმაურად, დუმილი – სიტყვად...

დაჩა მარაინი დღესაც აგრძელებს წერას. მის შემოქმედებაზე კი იწერება ნიგნები და სადიპლომო ნაშრომები.



იმისთვის, რომ თსუ-ს გამომცემლობას უსასყიდლოდ მისცა ნიგნის გამოცემის უფლება: „ეს ნიგნი ძვირფასი საჩუქარია ახალბედა მწერლებისათვის და მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს. ნიგნში გადმოცემული კითხვისა და წერის ურთიერთკავშირი, მწერლობის ხერხები, სხვადასხვა ლიტერატურული ნიუანსი თითქოს გვიბიძგებს – კალამს მოვკიდოთ ხელი ან ვისიამოვნოთ კითხვით“, – აღნიშნა მან.

ქართველი მკითხველის მხრიდან პატივისცემის, სიყვარულისა და მადლობის ნიშნად და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან წარმატებული თანამშრომლობისთვის, პრორექტორმა დაჩა მარაინი უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ასევე იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში მასიმილიანო დანტუონომ. მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა საქართველოს და იტალიას შორის კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობას და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს შესანიშნავი მასპინძლობისთვის. მანვე განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც თსუ-ში იტალიურ ენას და ლიტერატურას ეუფლებოდნენ და შეხვედრასაც დაესწრნენ. „ეს შეხვედრა იტალიური მსოფლიო კვირეულის ფარგლებში იმართება და კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვრცელდება იტალიური ენა საზღვრებს გარეთ“, – აღნიშნა მასიმილიანო დანტუონომ.

დაჩა მარაინის მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს მხარდაჭერისთვის: „მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს და მის რექტორს, ბატონ ჯაბა სამუშიას მოწვევისა და მასპინძლობისთვის, პროფესორ გიორგი ლობჯანიძეს ამ არაჩვეულებრივი ინიციატივისთვის – რომ არა იგი, ეს ნიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა; მადლობა თსუ-ს მულტიმედია ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მარინა სალუქვაძეს ამ შეხვედრის ორგანიზებისათვის; უღრმესი მადლობა საქართველოში იტალიის საელჩოს და პირადად მის აღმატებულ ელჩს მასიმილიანო დანტუონოს მუდმივი მხარდაჭერისთვის, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც შესაძლებელი გახადა ჩემი მრავალწლიანი ოცნების ახდენა, დაჩა მარაინის საქართველოში მოწვევა და მასპინძლობა“, – აღნიშნა ნუნუ გელაძემ, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა იტალიელი მწერლის ბიოგრაფიული პასაჟები და თავად გაუძღვა კითხვა-პასუხს, რომელმაც დარბაზის და, განსაკუთრებით, თსუ-ს სტუდენტების აქტიური ჩართულობით თითქმის ორ საათს გასტანა. მან თქვა: „დაჩა მარაინის ნაწარმოებთა უმეტესობა მასკულისტურ საზოგადოებაში ქალის აუტანელ ყოფას ეხება, თუმცა იგი არა მხოლოდ კალმით იბრძვის ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ, სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ჩაბმულია ფემინისტურ მოძრაობაში და აქტიურად იცავს ქალთა, ლტოლვილთა თუ უმცირესობათა უფლებებს, ებრძვის რასიზმს და ისლამის დემონიზაციას, ალვირახსნილ ფუფუნებასა და ბავშვთა შრომის დაკაბალებას; ეწევა ქველმოქმედებას და უანგაროდ ხელმძღვანელობს ლიტერატურული დაოსტატების კურსებსა თუ ლიტერატურულ ფესტივალებს; ბევრს მოგზაურობს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდებთან შეხვედრასა და დიალოგს“.

„არ არსებობს თავისუფლება მესხიერების გარეშე“, – წერს დაჩა მარაინი – ბავშვი საკონცენტრაციო ბანაკიდან, რომელიც გვასწავლის – როგორ შეიძლება ტკივილი იქცეს სიტყვად და სიტყვა – იმედად.



# თსუ-ს არქეოლოგები ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლს – შეჰანის მონასტერს იკვლევენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური გუნდი მონაწილეობს საქართველოს არქეოლოგიურ მისიაში, რომელიც იორდანის ჰამეტიურ სამეფოში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლს – შეჰანის მონასტერს იკვლევს. მიმდინარე სამუშაოები ადგილზე მოინახულა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და გაცნო თსუ-ს არქეოლოგების მიერ შესრულებულ კვლევებს.

შეჰანის მონასტერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურ მისიას ხელმძღვანელობს თსუ-ს პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მკვლევართა გუნდის შემადგენლობაში არიან თსუ-ს მეცნიერები და სტუდენტები (ბ. გელაშვილი – ხელმძღვანელის მოადგილე, ს. კობრეიძე, ზ. გიორგაძე, ს. ბუგინიშვილი, ა. ნადირაშვილი, ი. ზუკაკიშვილი, ნ. შარაშენიძე, ლ. გოგალაძე, დ.

გოგიშვილი, ვ. ჩიტაია).

მონასტრის არქეოლოგიური კვლევები 2024 წელს დაიწყო საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით. პირველივე სეზონზე ქართული არქეოლოგიური მისიის მიერ აღმოჩენილმა ქართულმა ნარჩენებმა – „შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“ – საბოლოოდ დაადასტურა ისტორიულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ტრანსიორდანიის არსებული აქამდე უცნობი ქართული ქრისტიანული სავანის შესახებ.

შეჰანის მონასტერი და მისი ხელნაწერები დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი ქართველი მეცნიერების მიერ. მონასტერზე ყურადღება პირველად ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ქართველმა მკვლევრებმა, მათ შორის, ელენე მეტრეველმა გაამახვილა. მი-

სი კვლევებით გაირკვა, რომ გაბრიელ თბილელი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერი, 1061 წლისთვის უკვე „შეჰანის მამად“ იწოდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მონასტერი სწორედ ამ დროისთვის იყო გაშენებული და იქ მოქმედებდა ქართველთა ძმობა. დროთა განმავლობაში შეჰანის მონასტერი მნიშვნელოვან სკრიპტორიუმად და სამწერლობო ცენტრად ჩამოყალიბდა. ცნობილია ასევე, რომ გიორგი-პროხოროვი, ჯვრის მონასტრის აღმშენებელი, სავარაუდოდ, 1066 წელს გადავიდა შეჰანის უდაბნოში და იქვე აღესრულა. XIII საუკუნის შემდეგ მონასტერი წყაროებში აღარ იხსენიება.

თსუ-ს არქეოლოგების მიმდინარე აღმოჩენები კიდევ ერთხელ ადასტურებს უნივერსიტეტის როლს ქართული მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნებს შორის აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებაში.



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

ირმა სულიაშვილი

შურაწლისტაჰი:

თამარ დადიანი

შურთხია ბეროშვილი

ნინო ჩარკვიანი

ფოტოგრაფი-რედაქტორი

გიზო ყუფარაძე

კომპ. უზრუნველყოფა

მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ირმა რატიანი, ირინე დარჩია, თინათინ ბოლქვაძე, ვლადიმერ პაპავა, ეთერ ხარაიშვილი, რევაზ გველესიანი, ეკატერინე ფირცხალავა, ნინო გაჩეჩილაძე, თემურ ნადარეიშვილი, ლელა ჯანაშვილი, მაია ივანიძე, მამუკა მარგველაშვილი, გია ლობჯანიძე, ნინო უგრეხელიძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup> (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:

gazeti.tsu.ge

ელ.ფოსტა:

nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადის სახით გამოცემა.

ახალი ყოველდღიური ჩვენს ვებ-გვერდს gazeti.tsu.ge

მოგვარდეთ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს

